ცალკე ნომერი 5 კაპ.

# ტალღა

თფილისი

ხუთშაბათი, 17 (30) აგვისტო.

1906

წელიწადი პირველი

რედაქციის კანტორა იმყოფება მიხაილოვის პროსპექტზე, № 102 ეზოში.

№ 15 ყოველ-დღიური გაზეთი. № 15

30 ივლისიდან ქ. თფილისში გამოდის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ტ ა ლ ღ ა“

ხელის-მოწერა მიიღება **მხოლოდ რედაქციის კანტორაში**—მიხაილოვის პროსპ., სახლი № 102.

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით ღირს 7 მან., ექვსი თვით—4 მ., სამი თვით 2 მან., ერთი თვით—ქალაქში 75 კ., პროვინციაში—90 კ., საზღვარგარეთ ერთი წლით—10 მ., ნახევარი წლით—6 მ. ცალკე № ყოველგან 5 კ.

ხელის-მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ТАЛГА“.


### რას მოასწავებს დღევანდელი „მყუდროება“.

ბევრს ძალიან უცნაურათ მოეჩვენა ის გარემოება, რომ დუმის „გარეკამ“ ასე იოლათ ჩაუარა მთავრობას, მაშინ, როდესაც თითქმის ყველას, და თვით მთავრობასაც კი წამდა, რომ დუმის გარეკა, თუ მთელ რუსეთში ერთბაშათ აჯანყების ცეცხლს არ დაანთებდა, თვალსაჩინო წინააღმდეგობას მაინც გამოიწვევდა ხალხის მხრივ. მოხდა თითქო სრულიად მოულოდნელი: დუმა, რომელსაც მთელი ხალხი თანაუგრძნობდა, რომელზედაც ტანჯულ-წამებული ხალხის ფართო მასა თვის სანუკვარ იმედებს ამყარებდა, რომლის მხარის დასაჭერათ თითქო ყოველთვის მზათ იყო ხალხის დიდი უმრავლესობა, ჰო, ასეთ დუმას ერთი დაკვრით ბოლო მოუღო, და ხალხმა კი ეს ამბავი თითქო აინუნშიაც არ მიიღო, ყოველ შემთხვევაში თითქო ნაკლებათ აღშფოთდა მით და თითქო საჭიროთ არ დაინახა გაწინააღმდეგებოდა მთავრობას ხალხის ინტერესების ერთხელ კიდევ ასე თავხედურათ და უდიერათ ფეხქვეშ გათელვისათვის. იმის მაგივრათ, რომ ის მოძრაობა, რომელიც დუმის გარშემო რამდენიმეთ მაინც დუმის მოქმედების გამო სულ უფრო და უფრო მაღლა ისროდა თავის ტალღებს, იმის მაგივრათ, რომ ეს მოძრაობა დუმის დათხოვნის გამო უკვე რევოლიუციის ქარტეხილათ გადაქცეულიყო, ამის მაგივრათ წინანდელი მოძრაობა თითქო უფროც დაეცა, უფროც დაუძლურდა, მოდუნდა; ხალხის წინანდელი ხმაურობის და ბობოქრობის ადგილი თითქო მყუდროებამ დაიჭირა მთელ იმპერიაში. და რამდენათაც ამ მყუდროებამ ფრთები შეასხა და იმედები აღუძრა მთავრობას, იმდენათ ღრმა საგონებელში ჩააგდო და თითქო იმედები შეურყია ზოგ ისეთებსაც კი, ვისაც მანამდე რევოლიუციის ძლევამოსილება და მისი გამარჯვების მოახლოვება საკმაოთ მტკიცეთ წამდა. ნუ თუ უსაზღვრო ოპტიმისტი და თავისთავის მატყუარა არ უნდა იყოს ის ადამიანი, რომელიც დღევანდელ „მყუდროებაში“ რევოლიუციის უძლურებას არ დაინახავსო, გოდებენ ზოგიერთები. ამისთანა პესიმიზმს უმეტეს ნაწილათ ეძლევიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც ადვილათ ძლევს წუთიერი, გარეგანი შთაბეჭდილება.

მათ ავიწყდებათ, რომ ხშირათ ის მოვლენა, რომელიც თვისი გარეგანი სახით თითქო უნუგეშოთ გვიხატავს საქმის ვითარებას, ასეთი მოვლენა ხშირათ თავისი შინაგანი თვისებით გაცილებით უფრო საიმედო და გასახარელ პერსპექტივას გვიყენებს თვალწინ, ვინემ რომელიმე სხვა გარეგნობით თვალწარმტაცათ მოელვარე მოვლენა. აშკარაა, ვისაც სურს სწორე შეხედულება იქონიოს ამა თუ იმ მოვლენაზე, შეგნებულათ დააფასოს მისი მნიშვნელობა და არ მიეცეს არც ტყუილ პესიმიზმს და არც ტყუილ ოპტიმიზმს,—ის არ უნდა აყვეს მოვლენის წუთიერ, გარეგნულ შთაბეჭდილებას, არ უნდა ააშენოს ამ შთაბეჭდილებაზე არავითარი დასკვნები, არავითარი არც იმედები, არც უიმედობა; იმან პირველყოვლისა მოვლენის სიღრმე და იქ დაფარული შინაარსი უნდა გაურჩიოს, იქ დამარხული მიზეზები უნდა მოუძებნოს, და მხოლოდ ასეთ საფუძვლიან დაფასებაზე უნდა დაამყაროს თავისი დასკვნები, რწმენა და იმედები.

თუ ჩვენ სწორეთ ასეთი თვალთახედვის წერტილით განვიხილავთ და დავაფასებთ იმ მოვლენას, რომელსაც ჩვენ ვხედავთ რუსეთის რევოლიუციის მსვლელობაში დუმის დათხოვნის შემდეგ,—სახელდობრ ხალხის დღევანდელი შედარებით მყუდროებას,—ე. ი. თუ ჩვენ გავიცნობთ იმ მიზეზებს, რომლებიც დაფარულია ამ მოვლენის საფუძველში, მაშინ ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ამ მყუდროების გამო ჩვენ უფრო მეტი საბუთებიც-კი გვაქვს იმედიანათ ვუცქიროთ მდგომარეობას, ვინემ გული გავიტეხოთ და რევოლიუციის უძლურებაზე წუწუნს მოვყვეთ. მაშინ ჩვენ ხალხის დღევანდელი შედარებითი მყუდროების მთავარ მიზეზად თვალწინ დაგვიდგება სწორეთ ისეთი რამ, რაც დიდათ გამამხნევებელ იმედებს გვინერგავს გულში.

მოკლეთ რომ გამოვთქვათ, ხალხის დღევანდელი „მყუდროების“ მთავარი მიზეზი არის პროლეტარიატის დღევანდელი ქცევა. დიახ, პროლეტარიატი პირდაპირ თუ არა პირდაპირ, შეიქნა იმის მიზეზი, რომ დღეს რუსეთში ხალხი ნაკლებათ ღელავს,—მიუხედავათ იმისა, რომ გამხეცებულ მთავრობას არასოდეს ისეთი მაგარი და მწვავე სილა არ უთხლეშია მთელი ხალხისთვის, როგორც დღეს! ერთი შეხედვით ეს გარემოება არა თუ იმდენს არ აღგიძრავს, თან გეუცხოება. როგორ? ნუ თუ ის პროლეტარიატი, რომელიც გაცილებით უფრო ნაკლებ ამაღელვებელ მიზეზების გამო მუდამ და ყველგან თვითონაც საშინლათ აღშფოთდებოდა ხოლმე, უშველებელ „ალიაქოთს“ ატეხდა და ასეთივე ალიაქოთი შექონდა დანარჩენ ხალხშიაც, რომელსაც აგრეთვე საომარ ფეხზე აყენებდა, ნუ თუ ეს პროლეტარიატი დღეს ისე „დაეცა“, ნუ თუ მას ისე დაუჩლუნგდა რევოლიუციონური გრძნობა-შეგნება, რომ მთავრობის უსაზიზღრესი საქციელიც კი ვეღარ აშფოთებს, და არა თუ თვითონ არ იწყებს მღელვარებას, არამედ საზოგადოთ ხალხის აღელვების მუხრუჭიც კი ხდება?

დიახ, მუდამ მოუსვენარი, ყველაზე უფრო თავგამოდებით მებრძოლი პროლეტარიატი „მუხრუჭი“ გახდა დღეს ხალხის აღელვების!.. მაგრამ მუხრუჭი გახდა არა იმიტომ, რომ მისი რევოლიუციონური გრძნობა-შეგნება დაჩლუნგდა, არამედ სწორეთ იმიტომ, რომ ეს გრძნობა-შეგნება უფროც განუვითარდა, უფროც გაუძლიერდა და გაუღრმავდა. „მუხრუჭი“ შეიქნა იგი ხალხის მღელვარებისათვის არა სამუდამოთ, არამედ მხოლოდ დროებით. სწორეთ მისი განვითარებული და გაფართოებულ-გაღრმავებული რევოლიუციონური გრძნობა-შეგნება მძლავრათ უკარნახებს მას, დაჟინებით ურჩევს თავი შეიკავოს თვითონაც, თავი შეაკავებინოს დანარჩენ ხალხსაც გადამწყვეტ რევოლიუციონურ გამოსვლისაგან ჯერ-ჯერობით, სანამ ხალხის ფართო მასა საკმაოთ არ შეკავშირებულა და საზოგადოთ საკმაოთ არ მომზადებულა ასეთი გამოსვლის საუკეთესოთ ჩასატარებლათ და მისი ბრწყინვალე გამარჯვებით დასაგვირგვინებლათ. სწორეთ მისი რევოლიუციონური შეგნება ნათლათ ასწავლის პროლეტარიატს შეაკავოს დღეს უეცარი, მოუმზადებელი და ამიტომ სუსტი, ადვილ დასამარცხებელი აფეთქება, რომ ნიადაგი მოუმზადოს საფუძვლიან შეკავშირებულ და ძლევა-მოსილ რევოლიუციონურ გამოსვლას.

ჩვენ ვთქვით, რომ პროლეტარიატი არა მარტო თვითონ იკავებს თავს უდროო „გალაშქრებისაგან“, არამედ იგი აკავებს მისგან დანარჩენ ხალხსაც. მაგრამ პროლეტარიატი იმდენათ საგანგებო ზომებს როდი ხმარობს ხალხის „შესაკავებლათ“, რამდენათაც ხელს უწყობს ასეთ შეკავებას სწორეთ იმით, რომ თვითონ იკავებს თავს. საქმე იმაშია, რომ გადამწყვეტ საყოველთაო გალაშქრების გამოწვევა დღეს შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატს; მხოლოდ მას შესწევს ამისათვის ძალა და მომზადება; მხოლოდ მას უწყობს ხელს ამისათვის პირობებიც. მხოლოდ პროლეტარიატი უკვე ყველგან იმდენათ შეგნებული და შეკავშირებულია, რომ მას თითქმის ყოველ წუთს შეუძლია თავისი საერთო გამოსვლა მოახდინოს. მის საერთო გამოსვლას-კი, დღევანდელ საყოველთაო რევოლიუციონურ განწყობილების მეოხებით, სულ მალე აუცილებლათ მოყვება საყოველთაო გალაშქრება, რადგან მას უეჭველათ გვერდში ამოუდგებიან ჯერ ქალაქის სხვა მცხოვრებლები, მერე კი სოფლებიც. ცხადია, თუ პროლეტარიატი თავს იკავებს საერთო გამოსვლისაგან, ამით ის აკავებს საყოველთაო გალაშქრებასაც, რადგან არც ერთ სხვა კლასს ხალხისას თავის შეუკავშირებლობის გამო არ შეუძლია საერთო გალაშქრება მოახდინოს.

ჩვენთვის ეჭვს გარეშეა, რომ საკმარისი იყო დუმის დათხოვნის გამო მთელი პროლეტარიატი ფეხზე დამდგარიყო, რომ მალე დანარჩენი ხალხიც აფეთქებულიყო, საყოველთაო გალაშქრება მომხდარიყო. მაგრამ პროლეტარიატს მისი რევოლიუციონური შეგნება უკარნახებს, რომ ხალხს საზოგადოთ შესაფერი, მომზადება არ აქვს დღეს-დღეობით, ხოლო კერძოთ გლეხობა-კი, ამას გარდა, მოუცლელათაც არის, მას ამ წუთას გახურებული მუშაობა აქვს; და აი პროლეტარიატმა, ასეთ პირობებში გალაშქრების მარცხის შიშით, თავის საერთო გამოსვლისაგან თავი შეიკავა და მით შეაკავა საყოველთაო გალაშქრებაც, ძლევამოსილ გალაშქრების შესამზადებლათ თავისი „მყუდროება“ დაიცვა და მით დაიცვა მთელი ხალხის „მყუდროებაც“.

ამნაირათ ჩვენთვის, ცოტათ თუ ბევრათ, ცხადია, რომ დღევანდელი შედარებითი მყუდროება არა თუ რევოლიუციის უძლურებას არ მოასწავებს, არამედ თავისი მთავარი მიზეზით (პროლეტარიატის შეგნებულათ თავის შეკავებით), პირიქით იმას გვიმტკიცებს, რომ რევოლიუციის მსვლელობა უფრო ძლევა-მოსილი გახდა, რადგან შეგნების მტკიცე საფუძველზე დადგა, თავის ნაბიჯებს დიდი სიფრთხილით, მოფიქრებით და აწონ-დაწონვით ადგამს და მოპირდაპირე ძალაც ადვილათ ვეღარ გაიტაცებს მას თავისი მიზნისაკენ.

ადვილათ დასაჯერებელია, რომ დუმის დათხოვნის გამო საერთო გამოსვლის მოხდენაში პროლეტარიატს ხელი შეუშალა ბოიკოტის ტრადიციამაც, რომლის მეოხებითაც დუმამ ვერ მოასწრო პროლეტარიატის სრული სიმპატია მოეპოვებინა, და რადგან ამის გამო დუმას არ შეეძლო გულის სიღრმემდე აღეშფოთებია იგი თავისი დათხოვნით, ვერც იმას გადააწყვეტინებდა ადვილათ, რომ მისი გულისათვის საერთო გამოსვლა მოეხდინა. მაგრამ ის პროლეტარიატი, რომელმაც თავისი პარტიის გადაწყვეტილების თანახმათ ისე საუცხოოთ გაატარა ბოიკოტი უცნობ საეჭვო დუმის წინააღმდეგ, იმავე პარტიის წინადადებით საერთო გამოსვლასაც მოახდენდა უკვე ნაცნობ საიმედო დუმის სასარგებლოთ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დუმაში სოციალდემოკრატიული ფრაქცია შესდგა.

## პოლიტიკური მიმოხილვა

### რა დაამშვიდებს განაპირა ქვეყნებს?

ყველაფერი მშვიდობიანათაა—სწერს თავის მოხსენებაში კავკასიის ნამესტნიკი. ყველაფერს დავძლევთ—ირწმუნება ვარშავიდან სკალონი—ერთი სიტყვით „მშვიდობიანობის დამცველნი ყველგან და ყველაფერში იმარჯვებენ, ქვეყანა დამშვიდების გზას ადგება და აი ამ დროს დისონანსათ ისმის ხმა, რა დაამშვიდებს ამ განაპირა ქვეყნებს, რა გზით მოეღება ბოლო რევოლიუციონერთა თავაშვებულ მოქმედებას?

და ამაზე ისევ ძველებურათ ერთი პასუხია—დიქტატურის გამოცხადება, დიქტატორის დანიშვნა. მარა ახლა ეს დიქტატურა კონკრეტულ ფორმებს იღებს, განსაზღვრული უფლებები და ინსტრუქციები ეძლევა. აი ეს ინსტრუქციები: „დიქტატორს უნდა მიეცეს ფართო უფლებები რევოლიუციურ ამბოხებასთან საბრძოლველათ. ამ ზომებში ნაჩვენებია იმ ნაწილებისათვის ყუმბარების დაშენა, სადაც ტერორისტული აქტი მოხდა, ამ ნაწილის მცხოვრებლებისთვის დიდი ჯარიმის გადახდევინება, თუ თავდამსხმელნი დაჭერილი არ იქნებიან, მცხოვრებთაგან ამანათების აყვანა და მათი სასტიკათ დასჯა. თავდამსხმელის ნათესავთა ქონების კონფისკაცია და სხვა“. ერთი სიტყვით საზოგადოების დასამშვიდებლათ, საჭირო ყოფილა იმათი გაწყვეტა, აწიოკება, განურჩევლათ ყველას დასჯა, ერთი სიტყვით ისეთი ბარბაროსული ზომები, რომელსაც შემოსეული მტერიც კი არ ჩაიდენს. ვის ებრძვის მთავრობა ამით? ვის იცავს? ის ებრძვის საზოგადოებას, ებრძვის მთელ ხალხს, რადგან ეს თავდამსხმელნი, როგორც ამბობს გაზ. „ტოვარიშჩი“, საზოგადოების შვილია და იცავს მათგან თავის ყველასაგან მოძულებულ არსებობას. ცხადია, ეს უკანასკნელი ზომებია, უკანასკნელი ღონისძიებაა, რომელიც მის მხმარებელთა უკანასკნელ დღეში ყოფნის მაჩვენებელია. საზოგადოება თუ მთავრობა? აი ასე ისმება კითხვა და ამაზე ორი პასუხის მიცემა შეუძლებელია.

### ყოფილი დუმის დეპუტატები და ხალხი.

დუმა გალალეს, მარა ხალხის შეგნებაში მას მაინც დიდი ადგილი უჭირავს. მას პატივს სცემენ, თავს მთავრობათ აღიარებენ, ამიტომ მის შეურაცხყოფას თავის შეურაცხყოფათ თვლიან; მთავრობა მათ სასტიკათ სდევნის, სჩხრეკს, დაპატიმრებას უპირებს, ერთი სიტყვით, ყოველი მხრით ცდილობს მათ შევიწროებას. და რომ ხალხმა თავის თანაგრძნობა არ გამოუცხადოს, ქალაქს ყუმბარების დაშენას ექადებიან. ასე მოექცნენ დეპ. ელკინს, ასე მოექცენ სეფფერს, მარა ყველგან ამ ზომებმა ვერ გასჭრა. სეფფერი დააპატიმრეს კიშინევში, მარა ამ ამბავმა ისე აალელვა ქალაქი და ახლო-მახლო მდებარე სოფლები, რომ გუბერნატორი იძულებული შეიქნა მისი დაპატიმრება „შეცთომათ“ გამოეცხადებია და მაშინვე გაანთავისუფლა. ელკინის წინააღმდეგ ამ ზომის ხმარებაც ვერ გაბედა. ახლა სატახტო გაზეთები იუწყებიან, რომ დეპ. ონიპკოს, რომელიც კრონშტადტში დაიჭირეს და აჯანყებაში მონაწილეობის მიღებას აბრალებდენ, სამხედრო სასამართლო არ მოელის. ამ სასამართლოს თავმჯდომარეს თვითონ გაუგზავნია ტელეგრამა ონიპკოს მეუღლისთვის, მისი საქმე ჩვენს ხელში არ გადმოსულაო. აშკარაა მთავრობა გრძნობს, რომ ხალხის თანაგრძნობა დეპუტატების მხარეზეა და ძალაუნებურათ იძულებულია ხალხის ხმას დაემორჩილოს, რომ მისი მრისხანება არ გამოიწვიოს. ესეც აშკარა მაჩვენებელია ერთის, სახელდობრ იმის, რომ დუმა ცოცხლობს ხალხის გონებაში, ცოცხლობს, როგორც წარმომადგენლობითი დაწესებულება, რომელიც უნდა იყოს ძალა-უფლების მატარებელი და კანონმდებელი. აქეთკენ მიდის ხალხის მოძრაობა, აქეთკენ უნდა წავიდეთ ჩვენც, რადგან ეს ერთათ ერთი გზაა ჩვენი მიზნისაკენ.

## ახალი ამბები

◆ თფილისის უსახელო საზოგადოების დრ. დირექტორმა **ფაინმა დააკმაყოფილა** ის მოთხოვნები, რომლებიც ტრამვაის მოსამსახურეებმა წარუდგინეს 8 აგვისტოს. ეკონომიურ მოთხოვნებს გარდა მოსამსახურეებმა მოითხოვეს: რუსეთში გადასახლებულ ამხანაგების უკან დაბრუნება და სამსახურიდან დათხოვნილ სხვა ამხანაგებთან ერთათ უკანვე სამსახურში მიღება. ძველი ექიმის ვართანოვის დათხოვნა, იმის ადგილზე ახალი ექიმის დანიშვნა, მოწვევა ახალ ფერშლისა და სხვ. მოსამსახურეთა უპირველეს მოთხოვნათა შესახებ გენერალ გუბერნატორმა ფაინს 11 აგვისტოს აცნობა, რომ შესაძლებელია არხანგელსკის გუბერნიიდან შემდეგ მოსამსახურეთა დაბრუნება: სერგო კოჩურინისა, ილარიონ ლემეშჩუკისა, ბოლესლავ სეჟლეცკისა, მალაქია გიორგობიანისა, კაზიმირ შიმნინისა, ივანე გვატკოვსა, ალექსანდრე ნიკულინისა, არტემ ტერ-ფარსეგოვისა და სიგიზმუნდ ჩეტირკოსი. გარდა ამისა განთავისუფლებულ არიან ის პირნი, რომელთაც გადასახლება ჰქონდათ გადაწყვეტილი. ესენი არიან: რუხაძე, კუხუხიძე, გვასალია, ნემსაძე, ჯოლიძე, კახელაძე, ცეცხლაძე, ხოჯაევი, გოთუა, ტაუგლიხი, სლომინსკი, თევდორაშვილი, ანანიევი, საბანაძე, გიგიბერია, კოლბიკოვი და ტერ-მატევოსოვი. ამასთან გენერალ-გუბერნატორი აცხადებს, რომ მას შესაძლოთ ვერ უცვნია სხვა გადასახლებულ ან გადასასახლებელ მოსამსახურეთა განთავისუფლება, რადგან ისინი „საზოგადო წესიერების და სახელმწიფო მშვიდობიანობისთვის მავნენი არიანო“. დასასრულ გენ. გუბერნატორი თხოვს ფაინს გამოუცხადოს ტრამვაის ყველა მოსამსახურეთ, რომ თუ ამის შემდეგ ხელ-ახლათ გაფიცვა ან სხვა რამ „უწესოება“ მოხდა, ყველა მოსამსახურეები, როგორც ამჟამათ განთავისუფლებულები ისე სხვა, „უწესოებაში“ მონაწილეობის მიმღებნი, ჩრდილო გუბერნიებში იქნებიან გაგზავნილნიო, თვით ტრამვაის წარმოება კი შეჩერებული იქნება, სანამ სამხედრო წესები მოქმედებსო. მოსამსახურეებთან ერთათ ტრამვაის დირექციამ წინადადება მისცა გენერალ-გუბერნატორს კიდევ 4 კაცის განთავისუფლების შესახებ. შედეგს ვაცნობებთ მკითხველთ. გუშინ თფილისში მყოფი მოსამსახურეები სამსახურის ასრულებას შეუდგენ. სხვა მოსამსახურეებს არხანგელსკის გუბერნიიდან დაბრუნებისათანავე მიეცემათ ადგილი.—დირექტორმა ფაინმა მოსამსახურეთ ნება დართო აიღონ დეკემბრის გაფიცვის დროს ფული—სულ 13 დღისა. ფაინისავე განკარგულებით მოსამსახურეთა საამხანაგო კომისიასთან ერთათ გაუქმებულ იქმნა ყველა რაპორტები 7 აგვისტომდე, გარდა იმათი, რომელნიც ქურდობასა და პირად შეურაცყოფას ეხებიან.

◆ **თფილისის ხალხის გასართობ საზოგადოების კომიტეტი** თხოვს ქალაქის გამგეობას ფულით შეწევნა მისცეს, დაუთმოს შენობა სამკითხველოსავის და სახალხო ბიბლიოთეკა აუდიტორიისათვის ვერაზე. ამასთან კომიტეტი შუამდგომლობს ხსენებულ საზოგადოების ერთი წევრი ჩაირიცხონ ზუბალოვის სახელზე აშენებულ სახალხო სახლის გამგე კომისიაში.

◆ ქალაქის გამგეობისა, ფინანსიურ კომისიისა და ავჭალის ცხენის რკინის გზის გამოსასყიდლათ დანიშნულ კომისიის წევრებს 14 აგვისტოს **შეერთებული სხდომა** ჰქონდათ. თფილისის ტრამვაის რწმუნებულმა ფაინმა სხდომას წარუდგინა პირობები, რომლებითაც უსახელო საზოგადოება თანახმაა ავჭალის ცხენის რკინის გზა შეისყიდოს. მომავალ ერთ სხდომაზე ხსენებულ კომისიათა წევრები განიხილავენ ამ პირობებს და საბოლოოთ გადასწყვეტენ ავჭალის რკინის გზის მიღების საქმეს.

◆ თფილისში ამ დღეებში **„პატრიოტ“-მუშების პროკლამაცია** გავრცელდა, რო-

მელსაც სათაურათ აწერია: „ამხანაგებო, ჩვენ მოგვატყუეს!“ ხელს აწერს „გაფიცვის წინააღმდეგ მებრძოლ მუშათა კავშირის წევრი მუშები“. პროკლამაციაში „ამტკიცებენ“ გაფიცვები მუშებისთვის მავნებელიაო.

✦ სამეგრელოდან გვწერენ, რომ მარტვილის საბოქაულოში ბოქაულათ დაუნიშნავთ ყველასაგან კარგათ „ცნობილი“ **დავით დავითაია**. დანიშვნისათანავე ის ღვთის რისხვათ თურმე მოევლინა ხალხს.

✦ იქიდანვე გვწერენ, რომ **ამხ. ძველაიას სიკვდილს** ხალხი ძლიერ შეუწუხებია. უმეტესათ აბაშის, სუჯუნის და ძველი და ახალი სენაკის რაიონი, სადაც ის დაუღალავათ მუშაობდა, ხალხს გადაუწყვეტია გამართონ მიტინგები და პანაშვიდები გადაიხადონ მის სახსოვრათ.

✦ სამეგრელოდან ჯერ-ჯერობით რუსეთის სხვა და სხვა ადგილებში 27 კაცი გადაუსახლებიათ.

✦ სამშაბათს, 15 აგვისტოს, თფილისის სადგურზე სახალხო მატარებელში (№ 17) **ჟანდარმებმა დააპატიმრეს** ალექსანდროპოლის მაზრის მცხოვრებნი ს. დ. მიკირტიჩიანცი და კ. დ. ხალილიანცი. მიკირტიჩიანცს აღმოაჩნდა 22 კოლოფი ვინტოვკის ჩახმახები და 1500 რევოლვერის პატრონა. ხალილიანცს აღმოაჩნდა ერთი კოლოფი ბერდანის თოფის ჩახმახი.

✦ ნამესტნიკის განკარგულებით თელავის მაზრის უფროსი **კარახანოვი** სამსახურიდან დათხოვნილ იქმნა.

✦ 15 აგვისტოს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე, **თფილისის სადგურზე** სადგურის უფროსის თანაშემწე სავიცკის უცბათ რევოლვერი გაუვარდა და მარცხენა ხელი და ფეხი დაიშავა. იგი რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ **სადგ. აბაშიდან** გვატყობინებენ, რომ იქ ბოქაულ ყუბანეიშვილის მოვლის გამო 9 აგვისტოს ხალხი შეუკრებიათ და დამრაშავე პირთა გაცემა მოუთხოვიათ, წინააღმდეგ შემთხვევაში 7 მანეთ ჯარიმას გადაგახდევინებთო. საზოგადოებას შემდეგი პირების გაცემა მოსთხოვეს: ალ. გამსახურდიას, შალ. იოსელიანის, გედე კაჭარავას, რას. გაბლაიას, ბელ. გაბლაიას, სუმონიას და ცომაიას. ხალხისთვის მოუთხოვიათ აგრეთვე ძველი ნედოიმკები. ხალხი კი უარს ამბობს თურმე. მოლაპარაკება ქონიათ დამსჯელ რაზმის უფროსთან, რომელიც ქუთაისიდან ჩამოსულა. უკანასკნელი ვადა 11 აგვისტო დაუნიშნავთ.

✦ **დუშეთის მაზრაში** ამ უკანასკნელ ხანში, როგორც გადმოგვცეს, ხალხი ძლიერ შეუწუხებიათ ცარცვა-გლეჯით და თავდასხმით სამ პირს, რომელნიც თურმე რევოლუციონერთა სახელით მოქმედებდენ. ესენი ამ ქამათ დაუპატიმრებიათ და აღმოჩენილან დუშეთის ვაჭრის შვილი, ბარათაშვილი, ხანდამაშვილი და ქოლუაშვილი.

✦ 14 აგვისტოს **უსაქმოთ დარჩენილ ინტელიგენტთა ბიურომ** შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: რადგან ამ უკანასკნელ დროში ბევრი ინტელიგენტთაგანი სამუშაოს რიგიანათ ვერ ასრულებდა და ამასთან ყოველ-დღე უკლებენ შესადგენ ბარათების რიცხვს, რომ სამუშაო გააგრძელონ, ხოლო ასეთი დამოკიდებულება საქმისადმი ყველა უმუშევართა ინტერესებს ეწინააღმდეგება—რადგან დასამატი ფული უსაქმოთ დარჩენილ ინტელიგენტებისთვის საერთო თანხიდან უნდა გადაიდოს,—ბიურო წინ დადებს აძლევს მომუშავე ამხანაგებს ნუ უკლებენ მუშაობას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იძულებული იქნება ქ. თფილისის უსაქმოთ დარჩენილთა საბჭოს მიმართოს.

**საშინელი უბედური შემთხვევა ქუთაისში.**

—

11 მარიამობისთვე მეტათ უბედური დღე იყო ქუთათურებისათვის. საღამოს 7 საათზე ეგრეთ წოდებულ ჭაჭვის ხიდთან, ფერმის ქუჩაზე მცხოვრებ მეჩექმე ზოსიმე ჟვანიას **ორი** 10 და 12 წლის ქალიშვილები დაახრჩო რიონში. საქმე ასე მოხდა: ორი ქალიშვილი თავის მოყვარე და ამ ხიდთან რიონში საბანაოთ ჩასულიყვნენ; ჩასვლისთანავე ერთმანეთისთვის მოუკიდებიათ ხელები, წინას დასრიალებია ქვაზე ფეხი და გადაუთრევია მეორე დაც. სადღაც დანარჩენ ორს გაუშვია ამათთვის ხელი და ისინიც ხელახლა ჩაკიდებულნი მოუტაცნია წყალს. მარა, რადგან ღამე იყო, ბავშვები ვეღარ ნახეს. საწყალი დედ-მამა და დები ორი მკვდრის შემყურე, ქალაქში გამვლელ-გამომვლელებს გულს უწყლულებდენ.

ამ ბიღიდრის ქალაქმა ძალიან გახშირდა წვა. ვის უძღვის ბრალი ამაშია და ვის არა კაცმა ვერ გაიგო. ცეცხლი კი თითქმის ყოველ ღამე ბრიალებს ქალაქის ხან ერთ კუთხეში, ხან მეორეს და ხან მესამეში. იწვის დუქნები, მაღაზიები, იწვის სახლები. და მერე გგონიათ, რომ მშველელნი საიდანმე გაგიჩნდებათ!? არ შეგეშინდეს ჭარმა! თუ ვინმე დაინტერესდა და მივიდა, უფრო იმ მიზნით, რომ „იქნებ რამე ვიშოვოო“. მცხოვრებლებს კი ამ ხულიგანთა წყალობით ამდროს გარეთ გამოსვლის ეშინიათ, ვინ იცის რა ხიფათს გადაეყრებიან. 11 ამ თვეს სამს ადგილს, თითქმის ერთ და იმავე დროს ქუთაისის გაღმა ნაწილი ცეცხლის ალმა მოიცვა. გაუჩნდა ცეცხლი არქიელის გორის ნაწილზე—გოჭოურას უბე. აგურის ქარხანას, რომელიც, როგორც ამბობენ, მსხვრევის გამხდარა მეზობლური შორისა და მეპატრონის. ეს დაუზღვეველი ქარხანა, ადამიანის უმარცხოთ, სულ ერთიან გადიბუგა. ცეცხლის მქრობლებმა ვეღარც კი მოასწრეს ასვლა.

ეს იყო 11 საათზე და ამავე დროს ორმოცის ქუჩაზე გაუჩნდა ცეცხლი ი. ფხაკაძის სახლს. როგორც ამბობენ აქეთ, ბოროტ-განზრახულებით გაჩენათ ცეცხლი. აქ თურმე ცხოვრობდა ცოლშვილიანი კაცი, რომელსაც ოჯახში დიდი უთანხმოება ქონია: ქმარს ცოლი გაურბოდა მოუშორებია, აქაც და ცეცხლი გაუჩნდა სახლს, რომელშიაც ცოლი და თავისი ქალიშვილი ცეცხლით ამოიხრუკა. პოლიციელები ამასაც ამბობენ, რომ ამ კაცს ცოლი და შვილი ერთმანეთზე დაუკლავს, გამოუხვევია საბნებში და მერე ეს უბედურება რომ დაემალა, ცეცხლი გაუჩნია სახლის. მართლაც დედა თავის ქალიშვილით ბამბის საბნებში გახვეული იწვა, როცა იმათ კარებ გატეხილ სახლში გარედან შეცვივდნენ შეცვარდნენ და ორი ადამიანის დამწვარი სხეულები გამოიტანეს.

მესამე ამგვარივე შემთხვევა ამავე ღამის 1 საათზე მოხდა არქიელის გორის პირველ მოსახვევში, სადაც ცეცხლი გაუჩნდა ილიკო ჩიქვანის ახლათ აშენებულ სამსართულიან სახლს და მთელი ორი დღე იწოდა, რადგან ცეცხლის მქრობელნი თავიანთ საჭეშელას მაგვარ ინკანებით ორ-სამ არშინზე გაჭიმვრებიათ სამიოდე ბოჭკით მონაზიდ წყალს ვერ ასხამდენ. ამ მხრით სამივე ადგილას ცეცხლი ბუნების ანაბარათ იყო მიტოვებული და კიდევ კარგი, რომ წინადამასხეური გრიგალი არ ქროდა, თორემ მცხოვრებლებს ალიხანოვისეული დამღები დაუდგებოდათ და დიდძალ ზარალს მისცემდა. ხიფათს ვერ ასცდა ი. ჩიქოვანის მეზობელი მეზობელი კოსტა მელიქოვი, რომლის დიდღალდ სახლზე ეჭვი მიიტანეს პოლიციელებმა, რადგან იქიდან ნავთის და ბენზინის სუნი გამოდიოდა, როცა 3—4 საჟენზე მოშორებულმა ცეცხლმა მიაცხუნა. ამ თ აგენტის თხოვნით ამ დაზღვეული სახლის გადარჩენა უნდოდათ და თუმცა კარები დაკეტილი იყო და მეპატრონეც სხვაგან წასული აღმოჩნდა, მარა მაინც გატეხეს იგი და მონახეს: მთელი კიბე, ბალკონი და ოთახები ნავთით იყო მოსხმული, ზედ სათში ამოსვრილი თავი და „მაჩალკები“ ეყარა და ამასთან ოთხი თითო ფუთიანი ცადიერი საჩვეულებო სანავთებიც იქვე იპოვეს. ამან, რასაკვირველია, პოლიციელებს საბუთი მისცა იქვე გამოძიება მეზობლების სიმრუდებების თანდასწრებით ოქმი შეედგინებიათ და სამართალში მიეცათ სახლის პატრონი.

ორიოდე ფაქტი კიდევ მინდა მოგითხროთ, მკითხველო, ქუთათურთა ცხოვრებიდან. 12 ამ თვეს პოლიციამ შუა ბულვარში დაიჭირა მღვდელი ვლადიმერ ფოფხაძე, რომლისთვისაც წერილების დამცველთ, ვითომ, პროკლამაციები უნდა შეენიშნოსთ ხელში. საღამოს იგი პოლიციამ ჟანდარმებს გადასცა. ამრიგათ შექმნეს „ДЕЛО“, მარა ეს ხომ პირველი და უკანასკნელი არ არის. ამ დღეებში ამავე ადგილას დაიჭირეს „კოლხიდის“ წიგნის მაღაზიის პატრონი ი. კ-ძე. წესიერების უკეთურმა დამცველმა მაგაზინებშიუს „ცენტრალნი უჩასტკა“, საიდანაც ბოქაულისთვის საქმის გარემოების ახსნის შემდეგ, იგი მაშინვე გამოუშვეს. ამგვარი ფაქტები, მკითხველო, უთვალავია ქუთაისის ცხოვრებაში.

ისო

## რუსეთის ამბები

—

**მამაცი მხედრობა.** როგორც ვიცით, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა იაკობსონმა ბელასტოკის პოგრომის შესახებ მოხსენება წაიკითხა სათათბიროში და სხვათა შორის ასეთი სიტყვებით მიმართა დეპუტატებს: „ჯარები ჯერ კიდევ მანჯურიაში დაეწყვეს სროლის გაგონებაზე შიშს და გაქცევას“. ამის გამო ვინმე სმირნსკის, არტილერიის მე 35 ბრიგადის პორუჩიკს განცხადება შეუტანია ნება მისცენ მას, რომ დეპუტატი იაკობსონი დუელში გამოიწვიოს. სეკუნდანტობა უკისრია გაზეთ „ნოვოე ვრემიას“, რომელსაც ამის შესახებ წერილი მოუთავსებია. წერილის მინაარსი ასეთია. რადგანაც დეპუტატი იაკობსონმა შეურაცხყოფა მიაყენა არმიას, ამიტომ ის საზღვარგარეთიდან უნდა დაბრუნდეს (ამ ჟამათ რუსეთში არ ყოფილა) და დუელში გამოდეს. თუ ამას არ იზამს, მაშინ მას ისე მოუქცევიან, როგორც დუელზე უარის მთქმელს და საყოველთაოთ გამოაცხადებენ ამას. დიდებულ ჯარის დარსეულ წარმომადგენლებს თურმე ის ავიწყდებათ, რომ თვითონ ყოფილა მანჯურიაში ბრძოლის ველზე და უნახავს, თუ როგორ მშვიდათ, წესიერათ და თან გაქცევითაც კვდებოდა თურმე სალდათი. „ნოვოე ვრემია“ ჯარის სეკუნდანტი, სთხოვს სხვა გაზეთებს, რომ ეს ამბავი გადაბეჭდონ.

**საეკლესიო მთავრობა პოლიციის სამოხელეში.** ხალხის მოძრაობამ ქრისტეს მოადგილეებს ძილი დაუფრთხო. ისინი ხედვენ, რომ „თავისიანებშიაც“ ეკარგებათ გავლენა, სოფლის მღვდლებმა რომლებსაც ისინი ევლეფენ, თვალი გაახილეს და მებრძოლ ხალხის მხარეზე იწყეს გადასვლა,—რომ მაინც გამოსტყუონ ხალხს ღუმა. აი ამ მღვდლებისათვის ცირკულიარით მიუმართავს ეპარქიალურ მთავრობას. სუდის პოლიციელები უცხადებენ მღვდლებს—დუმის კარეკის გამო „სიმართლე ილაპარაკეთო“, ე. ი. დუმა გაამტყუნეთ და მთავრობა გაამართლეთო. ცირკულიარი აგრეთვე ურჩევს მღვდლებს ყოველი ზომა იხმარონ, რომ გლეხებმა წირვა-ლოცვაზე იარონ და თავისი ცოდვები შეინანონ.

**შიმშილობა.** შიმშილი თითქმის ყოველ კუთხეში ვრცელდება. ამისი მიზეზია სხვა მრავალ გარემოებას გარდა, მოუსავლობა. ზოგიერთ გუბერნიებში დესეტინაზე მხოლოდ თხუთმეტიოდე ფუთი ხორბალი მოსულა. ზოგან სულ არაფერი. აი რას სწერს შიმშილის შესახებ სიმბირსკის გუბერნიის ს. პეპელევკას მღვდელი სტეტიროვი: „არ ვიცი ან გლეხები როგორ გაუძლებენ შიმშილს ამ ზამთარში, ან ჩვენი მღვდლები. გლეხები ცოტა რამეს კიდევ მიიღებენ სადმედან, მაგრამ ჩვენ რა უნდა გამოვარჩიოთ დამშეულ გლეხებს... სოფელში 900 სული ცხოვრობს, კრებული სამი კაცისგან შესდგება: მე, დიაკონი და მედავითნე. ყველას შვილები გვყავს გასაზრდელი. მე 300 მანეთს ვღებულობ ჯამაგირს, დიაკონი—150, მედავითნე—100. ვთხოვ საზოგადოებას, რომ ჩვენც მოგვცეს ნება გლეხებთან ერთად ჩვენც ვისარგებლოთ საზოგადოების დახმარებით“. ასეთი შიმშილი არა მარტო ამ გუბერნიაში უფლის. როგორც იმ წერილებიდან ჩანს, რომელსაც მღვდლები თავის ამხანაგებს სწერენ, აგრეთვე სასულიერო გაზეთებიდან, სადაც მრავალი მოწოდებაა მღვდლების, რომ დაეხმარონ, შიმშილს ერთობ მწვავე ხასიათი მიუღია.

**რითი ეხმარება მთავრობა დამშეულებს?** იმით, რომ გაფიცვებისთვის გლეხებს ხოცავს, ატუსაღებს, აჯარიმებს და დამსჯელი ექსპედიციების შემწეობით სარჩო-საბადებელს უსპობს... ამავე დროს, რასაკვირველია, საზოგადო სამუშაოების მოწყობასაც ფიქრობს.

**რაზე ხარჯავენ ხალხის ნაოფლარს?** სამხრეთის ერთ-ერთ ბანკს ნებართვა მიუღია ერთი მილიონი მანეთი ასესხოს დიდ მთავრს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს, რომელსაც გირაოთ შეუტანია თავისი უზარმაზარი მამული 12 ათასი დესეტინა—პეტერგოფსკის ახლოს.

ბომბით მოკლულ სამ.რის გუბერნატორ ბლოკის ცოლს სამი ათასი მანეთი მისცეს ერთდროულათ და წელიწადში რვა ათასი მანეთი დაუნიშნეს.

გენ.-ლეიტენანტ იგნატიევს უთხოვნია მიეცეს მუქთად საჭირო იარაღი, რომ ბერდიჩევის მაზრაში თავის მამულის მოსამსახურენი შეაიარაღოს გლეხებთან საბრძოლველათ.

გაზეთი „როსია“ თხოულობს კიდევ მიეცეს ხაზინიდან სამოცი ათასი მანეთი, რომ თანამშრომლების რიცხვს მოუმატოს.

**ვის უნდა აპატიო დანაშაული.** რეველში სამხედრო სასამართლომ ბევრს კატორღა გადაუწყვიტა, 18 კაცი კი დაახვრიტანა. ერთმა მატროსმა განაცხადა: ჩემთვის სულ ერთია, დამე მოვკვდე, მაგრამ უდანაშაულო ვარო. როცა სროლა ატყდა, მეც ვიყავი, შემდეგ გამთვლელი თოფით, არ ვიცოდი რისთვის, და მაშინ დამაპატიმრესო. ამას ყურადღება არ მიაქციეს. ხელმწიფე იმპერატორმა სრულიად აპატივა დანაშაული ცნობილ ყაჩაღ დალი-ალი მაგგერან-ოღლის. დალი ალი 22 ბოროტმოქმედებისთვის პასუხის გებაში მიეცა განჯის სასამართლოს (5-ჯერ კაცის მოკვლისათვის, 4-ჯერ მკვლელობის განზრახვისთვის, 8-ჯერ მთავრობის წინააღმდეგობისათვის და სხვ.). ამას გარდა 1903 წელს გოლიცინს გადაეცა ის სამხედრო სასამართლოსთვის. დალი-ალი ხუთ წელიწადს იმალებოდა. წინათ ის სტრაჟნიკების ურიადნიკი ყოფილა.

---

# ფელეტონი

—:—

**მ ე დ რ ო ვ ე ნ ი.**

(დრამატიული ესკიზი ორ მოქმედებათ).

**მომქმედნი პირნი:**

1. გაბრიელ 40 წლის აზნაური.
2. ლევან, იმავე ხნის აზნაური.
3. ზოსიმე, 30 წლის აზნაური.
4. მამასახლისი.
5. დიაკონი.
6. კოწია, 20—22 წლის აზნაური.

მოსამსახურე ბიჭი, კიდევ რამდენიმე უსიტყვო აზნაური და გლეხები.

(პირველი მოქმედება ხდება რეაქციის მძვინვარების დროს, მეორე კი დუმის დროს, ორივე სოფელში)

**მოქმედება პირველი**

გამოსვლა პირველი.

(სცენა წარმოადგენს ღამაზათ მორთულ ოთახს. ჩანს ხელმწიფის დიდი სურათი მეულღითურთ).

**(ლევან, გაბრიელ და ზოსიმე)**

**გაბრ.** ესეც შენი ერთობა! ხა, ხა, ხა! რავა გაღნა გუშინდელი თოლიერი! ხა, ხა, ხა!

**ლევ.** დედა რა ამბავი იყო, რას შვებოდენ, რას ჩადიოდენ! ქვეყანა თავისი ეგონათ უპატრონოს, დათვევს. მთა და ბარს ასწორებდენ, მდიდრები და ღარიბები არ უნდა იყოსო... ხა, ხა, ხა! ღვთისგან დაწესებულს სპობდენ. რომ ასე იყოს, თითები რეიზა გვაქვს დიდი და პატარა, ყველას ერთ ტოლს გააკეთებდა ღმერთი! მარა მთა და ბარს ვინ გაასწორებს!

**ზოს.** ღმერთის პირიმე ბიჭო, თურმე ისე მოდის ალიხანოვი, რავაც გინახავს მაისის ბუღა. არ ტოვებს თურმე არავის, ვისაც ერთობაში მონაწილეობა გაუგეს, სულ ტრუბაში აძვრენს თურმე ამ სოციალისტებს, გაჩვენებთ ერთობა რავა უნდაო, თურმე იძახის.

**გაბრ.** რა ბიჭია თურმე, რა ვაჟკაცია! ლომია თურმე კაცათ, ლომი. ხელმწიფისა შეუთვლია, შენ იმის დარდი ნუ გაქო, ქართველებს სულ კუდამდი გავაძრობ ტყავს და ისე დაგიმორჩილებო, მთელ საქართველოს ჩემი ფეხით შემოვივლიო.

**ზოს.** ისიც უთქვამს თურმე, ქართველ თავად-აზნაურობას რომ არ ვემდუროდე, ბატონ-ყმობას დავუბრუნებო, მერე რავა ფიქრობთ თქვენ, ვერ იზამს გვონია თუ?

**ლევ.** ჩვენ რას გვემდურის, რა წოუხდინეთ თავად-აზნაურობამ?

**ზოს.** რასაო და ძველათ ჩემი სამშობლო ლექსთიო, ქართველებმა დაიპყრობია რუსებს, თავად-აზნაურობამ ქეიქნა ესაო.

**გაბრ.** აზნაურებს გვერჩის თუ?

**ზოს.** ჩვენ რავა გვერჩის, მარა რო კაი გული ქონოდა, უფრო მეტ სიკეთეს გვიზამდა.

**ლევ.** სიკეთეს ძაან გვიშობა, ძმაო, ის კაი ორი წელიწადია აგერ ყანების ნადგლის მეათედი არ ამიღია, ტყის, საბალახოს კაცმა არაფერი მომცა და ახლა ყველას ავიღებ.

**გაბრ.** აბა, რა ქესატობის დროს მოგვესწრო, რამდენი ხანია ქუთაისში არ ჩავსულვარ!..

**ლევ.** მერე ახლა ჩახვალ თუ? ალიხანოვის არწივები, კაზაკები, შავს დღეს აყენებენ ქუთაისს, ერთი კაცი რაა თურმე ერთობის არ გოუშვიათ.

**გაბრ.** პირიმე მისი, ვეჟკაცი მაგრე უნდა. ცოცხა თავზარი ყველა ამ გასულელებულ გლეხებს და მშიერ ნასწავლებს, ლაწირაკები ესა...

**ლევ.** ჩვენც რომ კრნალამ ავყევით და კიდევ ხანდიხან მეთაურობას ვიჩემებდით. რო გაგვიგოს ალიხანოვმა, ჩვენც ჩაგვაქრავს.

**გაბრ.** ვუთხრათ, რომ შეგვეშინა გლეხების და აბა რას ვიზამდითქვა. (პაუზა). რა დრო გვეიარეთ კაცო, რა დრო, რავა მომაგონდება! რა ქნეს, რავა არიეს ქვეყანა ამ უწვერ-ულვაშო ბალღებმა, რავა ყველამ ქაღალდი ხელში. ჩვენც გაგვაპრიყვეს...

**ზოს.** რა ვუყოთ, დრონი მეფობენ.

**გაბრ.** მართალი გითხრა, მეორეთ დევიბადე ახლა, მეორეთ. რავა აღდებული ვყავდით ყველას, მარა ახლა ხო ჩავჯენ ძველ კალაპოტში. რა ქკუაზე მოყვანა იცის მათრახებმა, წვა-დაგვამ და აწიოკებამ!

გამოსვლა მეორე.

**(იგინივე და დიაკონი)**

**ლევ.** რა ამბავი იყო დიაკონო, ალიხანოვის რა ისმის?

**დიაკ.** ეხ, მეცოდება საწყალი ხალხი, მებრალება. მოატყუეს,ააჩქარეს. მოქადაგეები ახლა სადღა ქე გამეეპარათ და შეატყუენ ისენი ალიხანოვს. ისენი ქე იმალებიან, გლეხების სახლკარს ქე წვავენ აქით.

**გაბრ.** ჭკუას ისწავლიენ, ჭკუას.

**დიაკ.** იმე, ჭკუას კი ისწავლიენ, მარა ერთობ ავგულა მასწავლებელი ყავენ (იცინის). ისე დაასწავლის, რომ ვერ დაივიწყებენ.

**ზოს.** ქესატობა გქონდათ, დიაკონო, შენ და შენს ღვდელს და ახლა ხო ეღებთ დრამას.

**დიაკ.** დრამა თუ გინდა ხელში მეჭიროს, მარა... ეს არაა კაი.

**ლევ.** ხა, ხა, ხა! მე რომ ვავტონომისტობდი, კაცო... ხა, ხა, ხა! ორი მანათი კიდეც შევწირე იგენის კომიტეტს და მეფეს თხოვნა გოუგზავნეთ, ავტონომია გვიბოძეთ-თქო.

**ზოს.** ეს მამაცხონებული ნასწავლები ცხოვრობენ იქ ქუთაისში და ჩავალთ ჩვენ თუ არა, შემოგვეჩრებიან.

**დიაკ.** (იცინის) ჩვენც, სამღვდელოებამაც, ავტონომია რომ მოვითხოვეთ .. ხა, ხა, ხა!

**გაბრ.** კაფილი ითხოვეთ?! კაი კაფილს მოგცემს ერთ თქვენ ეხლა ალიხანოვი (საერთო სიცილი).

**ლევ.** ამდენი ხანია აგერ ერთი ღამე ტკბილათ არ დამიძინია, სულ შიშში ვიყავი და მის მერმე რაც ჩვენს მოქადაგეებს დაუფეთეს ანგელოზები, გულასავით მძინავს.

**გაბრ.** ბიჭო, სერგო! სერგო! („ბატონო, ბატონო“, ისმის ბიჭის ხმა. სერგო შემოდის) რავა გესმის ბიჭო თქვენი ერთობის ხმა, აჲ (იცინის) გაგეპარათ ერთობა?

**ბიჭი.** რა ვუყოთ, ბატონო. ერთ დროებას ჩიტიც გაატარებსო, ნათქვამია.

**ლევ.** ისწავლეთ ჭკუა? ზაქარია ბუიძეო, გვიან მოხვალ ჭკუაზეო! ეგი თქვენზეა ნათქვამი.

**დიაკ.** ეხ, აჩქარდენ, კაცო, აჩქარდენ. ამ საქმეს თანდათან მიყოლა უნდოდა და კიდეც ასრულდებოდა.

გამოსვლა მესამე (იგინივე, მამასახლისი, გლეხები და კოწია).

**მამას.** გამარჯობათ, აზნაურებო! მოგიბრუნდათ ხო ძველი დრო! აი რო გეშინოდათ და ღრუში მიძრობოდით, ახლა ხო გაიმართეთ წელში. აი რა ძალა აქ რუს ხელმწიფეს!.. მიგვატუეს ძველი პატრონები ამ ვეჟპატრონებმა (გლეხებზე უთითებს): არც ღვდელი, არც თავად-აზნაურობა, არც პოლიცია, არავინ არ უნდოდათ, მარა დღეს ის მოქადაგეები ქე გეეპარათ და კიდო ჩვენს ხელში მოხვდენ. აგერ ალიხანოვი მოდის ჩვენს სოფელში და ჩვენ უნდა შევხვდეთ და უნდა ვთხოვოთ გაპატიონ შეცდომა...აბა!

**გლეხი.** რა ვუყოთ, ბატონო, ყველაფერი მოსალოდნელია..-

**გაბრ.** (გახურებული). გავცოცხლდით ძველი პატრონები... გავცოცხლდით...

**ლევ.** მართლა მოდისო ალიხანოვი?

**მამას.** აბა! ამ ორ დღეში აქ იქნება. თავად-აზნაურობამ და სამღვდელოებამ ორთორი ბაირაღები უნდა დეისხათ ეზოში და ხელს არ გახლებსთ ჯარი. პურ-მარილი უნდა მოვამზადოთ, ხელმწიფის სურათი გვინდა, თეთრი ბაირაღები გვინდა და ისე უნდა შევხვდეთ დაჩოქილი მთელი სოფელი და უნდა ვთხოვოთ გვაპატიოს შეცოდება, კიდეც ერთგულობაზე უნდა შევფიცოთ. გადასახადებს თხოულობს. თოფებს თხოულობს, მოქადაგეები მოგვეცითო და ესენი ყველა უნდა მივცეთ, ისე არ შეიძლება...

**გლეხი** (მოწყენით). ვაი ჩვენი ბრალი! მამასახლისო, მოსალაპარაკებლათ აბა კრების მოხდენა იქნება საჭირო.

**მამას.** რეის კრებაო? მაგ კრებამ დაგვღუპათ თქვენ, არ თქვათ მაგ სიტყვა, ყრილობათქვა.

**გლეხი.** თუ გინდა ყრილობა იყოს, სულ ერთია.

**მამას.** აბა, უნდა ვქნათ ყრილობა... შეიკრიბეთ და გამოაგზავნეთ ყველაფერი რაცაა და მივცეთ. თქვენ, აზნაურო და დიაკონო, გეიხსენეთ რაც დაგაკლდათ ამ ერთობის დროს და ყველას ჩაგაბარებთ. დიაკონო, ვინც ან ჯვარის საწერი დაგაკლო, ან რამე, სულ გაიხსენეთ.

**გაბრ.** იგენს არ გევივიწყებ, იმის ჯავრი ნუ გაქ!

**კოწია.** ჩემი საქმე რავაა, ბატონო, მიშველე რამეც, თვარა არ ვიცი რა დამემართება...

**ლევ.** ოო, წითელი რაზმელი! ხელმწიფის ჩამომგდები ბიჭი! თუ კაი ბიჭები ხართ ახლა შეხვდით ალიხანოვს, მაშინ რო იჭიმებოდით ჭაჭის არაყივით.

**ზოს.** გლეხ კაცთან რო გეტოლებ შენს თავს ასე დაგემართება!

**კოწია.** დამინებეთ თავი, მე ჩემი დარდი მაწუხებს.

**მამას.** თუ რამეს დახარჯავ, სტრაჟნიკათ დაგაყენებ, პირისთავი დამპირდა.

**კოწია.** დახარჯვით რავა არ დავხარჯავ... სოციალისტების და სხვების დაჭერა ჩემზე იყოს, მე ყველა ვიცი...

**მამას.** რამდენი ხანია აგერ ჩემს ჯიბაში ფულს არ გოურაკუნებია და ეს ალიხანოვის ხმა რო მეისმა, ჩემს ჯიბეშიც გარაჩხუნდა ფულები, მოუბრუნდენ ძველ კანონს. (პაუზა). აბა, ჩვენ ასე გაჩერება არ გვარგია. დევემზადეთ ყველამ, უნდა რამეით ვაამოთ ალიხანოვს. ღვდლები შემოსილი იქნებიან, ისე თავად-აზნაურობა ძალიან გამოწყობილი. (გლეხებს). თქვენ დეემზადეთ და თან ძველ კალაპოტშიც ჩადექით.

**გაბრ.** დედი მისის შვილები არიან და ნუ ჩადგებიან, ჩაბარდა მაგენის ერთობა პატრიანს. „ძმობას, ერთობას, სიყვარულს ტახტი დაუუდგათ ქებული, ძირს ჩამოვა-

## პარტიის ცხოვრებიდან

—

**პეტერბურგი.** ამ ცოტა ხნის უკან მოხდა კრება ვიბორგის რაიონის სოც. დემ. ქვერაიონული კომიტეტებისა. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მიუხედავათ გლახათ ჩატარებული გაფიცვისა, სულიერი გომაგრება არ დაცემულა. რეაქციონური „შავრაზმელთა" ელემენტი, რომელიც საზოგადოთ ვიბორგის რაიონში სხვაზე ნაკლები იყო—ახლა სულ მოისპო. ქალაქის რაიონში სულიერი განწყობილება უფრო დაბლა დგას. რამდენიმეთ ეს მით აიხსნება, რომ რაიონში მუშათა მასსიური კრებები სულ არ იმართება. უკანასკნელ დღეებში პარტიის ერთმა ნაწილმა ისევ განაახლა აგიტაცია ახალი პარტიული სიეზდის მოსაწვევათ რამდენიმე რეზოლიუციაში, რომლებიც ამ დღეებში გამოტანილ იქმნა სიეზდის მოწვევის სასარგებლოთ, კერძოთ გზავნიან ცენტრალურ კომ. უკანასკნელ გაფიცვის ინიციატორობაში. ჯერჯერობით აგიტაცია ახალი სიეზდის მოწვევისათვის სუსტათ მიდის.

—

## პროვინცია.

—

**სოფ. ფშაველი** (თელავის მაზრა). ორ თვე ნახევარია რაც ამ სოფელში პარტიული მუშაობა დაიწყო და მას შემდეგ ფშაველის რაიონის სოფლებში გლეხების შეგნება და მისწრაფება დიდებულ მომავლისაკენ თან და თან მტკიცე ხასიათს იღებს. ვიდრე აქ მუდმივი მუშაობა დაიწყებოდა, გლეხ-კაცს მთავრობაზე ძველებური შეხედულება და წარმოდგენა ქონდა; მას ეგონა მარტო თხოვნითაც რომ მივმართოთ მთავრობას, ის ჩვენ გაჭირვებას და დუხჭირებას ყურადღებას მიაქცევს და თავზე დატეხილ უბედურ და ჯოჯოხეთურ ცხოვრებიდან გვიხსნისო.

ასე ოცნებობდა და ფიქრობდა ხალხი სულ ახლო წარსულში, ვიდრე შეგნების გზას დაადგებოდა. დღეს კი მან ამგვარ იდეიაზეებს თავი დაანება და აქტიურათ ებრძვის მთავრობის საზიზღარ რეჟიმს. დღეს ის გაიძახის: მთავრობას თუ ძალით არ წავართვით, ნებით ის თავის ბატონობას ჩვენ არ მოგვცემსო. გლეხმა კაცმა გაიცნო მთავრობის ყოველივე საზიზღარი მოქმედება საზოგადოთ რუსეთში და კერძოთ კავკასიაში. გაიგო თუ რა ზომებს ხმარობს ის, რომ ხალხის მოძრაობა ჩააქროს. ფშაველის რაიონში მიტინგები მუდამ გვარა უქმე დღეობით იმართებოდა; გლეხები დაინტერესებული იყვნენ მუდამ დასწრებოდნენ მიტინგებს და გულდასმით ისმენდნენ ნალაპარაკევს. რეაქციისგან წაქამამებული ხულიგნები, ეს ხალხის უბილწო მტრები, მიტინგებზე წელში მოიხარნენ, გამოტყდნენ თავიანთ დანაშაულში, თუმცა, მიუხედავათ ამისა ხალხ, მათ მაინც აწვავს თვალით უყურებს და თითებზე უყვს ჩამოთვლილი.

გლეხკაცები მეტისმეტათ დაინტერესებული იყვნენ იმით, თუ რას აკეთებდნენ სათათბიროში ხალხის წარმომადგენლები. დუმაშ გლეხები ძალიან დააინტერესა, რადგან იმათ იქ თავიანთი წარმომადგენლები ეგულებოდათ, და დარწმუნებულიც იყვნენ, ჩვენი დეპუტატები უეჭველათ მიწასა და თავისუფლებას მოგვიტანდენო. გარდა ამისა, გაზეთებსაც გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს. მეტადრე იმას, რაც დუმის შესახებ იბეჭდებოდა. დუმა ბევრჯერ იყო მიმავალს, გლეხო, კაცი გაყურებს და გეკითხება: „ჩვენი კაცები (იგულისხმე წარმომად.) რას აკეთებენ, მთავრობა უთმობს რამეს თუ არაო?" გხვდება გზაზე მთაში მიმავალი თუში, ისიც ამასვე გეკითხება, მითხარი რამე გაგზავნილ კაცებზეო.

მიტინგებზე გლეხკაცობამ მთელი თავისი შინაარსით გაიცნო დუმა: გაიგო რა შეეძლია მოუტანოს დუმამ ხალხს, რა მნიშვნელობა ქონდა დუმას მთავრობისთვის და ხალხისთვის. გლეხკაცობა დაინტერესდა დუმის მოქმედებით, და, ცხადი იყო, იმას გარეკა ხალხზე მთავრობის სასარგებლო გავლენას ვერ იქონიებდა. მართლაც ასე მოხდა. როდესაც დუმის დათხოვნის შემდეგ აქ კიდე მიტინგები გაიმართა და მოლაპარაკე სოც.-დემ. აუწყეს ხალხს: მთავრობამ თქვენი ერთად-ერთი იმედი, „დუმა" გარეკა, და გლეხკაცობას მიწასა და თავისუფლებას არ აძლევსო, ამ ამბავმა, როგორც ლახვარმა, ისე დაუარა ხალხს გულში და ერთი მხრით თუ დაალონა ის, მეორე მხრივ უფრო გაამხნევა და თავისუფლებისაკენ მისწრაფების სურვილი გაუორკეცა. საზოგადოთ ხალხმა ამგვარი აზრი გამოსთქვა: „ჩვენ მთავრობაზე უკანასკნელ იმედებს ვამყარებდით, და რაკი იმან ჩვენი წარმომადგენლები გარეკა, ჩვენ ამას შემდეგ ვსწყვეტთ მთავრობის ყველა მოხელეებთან დამოკიდებულებას. თუ ის ჩვენს წარმომადგენლებს ითხოვს იქ, ჩვენ კიდე აქ დავითხოვთ მის მოხელეებსო". მართლაც, ხალხმა (ფშაველში) იმ დღესვე (16 მკმთათ.) დაითხოვა ნაცვალ-მამასახლისი, მწერალი და ტყის ყარაული. კერძოთ სოფელ ფშაველში, როგორც სხვა რაიონებში, ამორჩეული კაცები აწარმოებენ სოფლის ყველა საქმეებს. ამ წინაზე აქაურ მედუქნეებს ამორჩეულმა კაცებმა გამოუწყეს საწონ-საწყაოები და ყველა ყალბი გამოადგათ. ამაზე ამორჩეულმა კაცებმა მედუქნეები შესაფერისათ დააჯარიმეს და აღუთქვეს დუქნების დაკეტვა, თუ კიდევ ამ გვარათ ივაჭრებენ.

პურის მოსავალი აქეთ ძალიან ნაკლებია, ნახევარი წლის სარჩოთაც ვერ შეუგებათ წლევანდელი პურისა და სიმინდის მოსავალი. ნათადის მემამულეები (თავად-აზნ.) გლეხებისგან ჯერჯერობით არ იღებენ და სტოლიპინის რეაქციას მოუთმენლათ ელიან. ესენი ამბობენ:—თუ რეაქცია იქნება, ძველ კვალობაზე, დღიურზე ნათხალს—ხუთმეტ ლიტრას, ან კოდს ავიღებთო, თუ არა და გლეხები გვაჭამებენო.

სოფლელი ამხანაგი.

—

**ს. ჩიბათი** (გურია). ბინძური ჯაშუშების წყალობით ისედაც ერთ წუთს მოსვენებას არ გვაძლევდა ჩვენი ბოქაული მიქამეგდი თავისი აღვირ-ახსნილი მხლებლებით. ერთი თავისუფლათ ვერ ამოგვესუნთქა, ერთი სიტყვა ვერ გვეთქვა რომ ახლა ამას ზედ დაერთო ნავთის საუგნ მიღის გაჭრა და ცეცხლის წაკიდება, რომელიც ამ დღეებში მოხდა ვილაც ბოროტგამზრახველთაგან და რომელმაც დიდი ზარალი მოუტანა რკინის გზას.

ათის კვარ სასტიკ ზომების მიღების შემდეგ, ამ თვის ცხრას, ღამის გხრა საათზე, ისევ შემოგვესიერნენ სოფელში ხსენებული გმირები. გაცოფებულმა, მამასახლისს სულ წვერები დააგლეჯა და შემდეგ შეუდგა ოჯახების ჩხრეკას. დაბეჭდა რამდენიმე ნავთი ნი ჭურჭლები, რომლებიც ხალხს წამოეღო რკინის გზის მოხელეების ნებართვით, როდესაც გაჭრილ მილიდან ავარებელი ნავთი უბრალოთ იკარგებოდა. წამოიღო აგრეთვე უბრალო თოფები.

შემდეგ თავს დაესხნენ ადგილობრივ მცხოვრებ ბ. ზენაიშვილს, რომელსაც უმოწყალოთ სცემეს, შენი ძმა მოგვეცი (ამ უკანასკნელს კარგა ხანია დაეძებდნენ). თუმცა დასაჭერი კი იქვე მაგიდის ქვეშ დამალულიყო, მაგრამ გახულიგანებული პოლიციელები ჯიბეებს მეტათ სინჯავდნენ, ვიდრე სახლს, რადგანაც ცხრა მანეთი მოეპარათ და ეს, რასაკვირველია, იმათთვის უფრო სახეიროა. ვ ხიც-ხიც.

—

## მუშათა მორის.

**ადავერდის ქარხანა.** ამას წინათ „დამპრის" ერთ-ერთ ნომერში მოთავსებული იყო კორესპონდენცია, რომელშიაც ამხ. კაციამ სავსებით გაიცნო მკითხველ საზოგადოებას ალავერდის მუშათა სვე-ბედი. გაკვრით აღნიშნა აგრეთვე აქაური ადმინისტრაციის ვერაგული მოქმედება, რომლის შესავსებათ აქვე მოგვყავს კიდევ რამოდენიმე მაგალითი.

დეკემბრის გაფიცვების შემდეგ, რომელიც აქაურმა ადმინისტრაციამ ეგრე მოხერხებულათ დაამარცხა, რასაც, რასაკვირველია, ხელი შეუწყო საყოველთაო რეაქციის გამეფებამ, ბ-ნმა პოლმარმა ხელი მიჰყო ქარხნის „სოციალისტებისაგან" გაწმენდას. დარწმუნებული, რომ ყოველივე ეს სავსებით შესრულდა, ტკბილათ დაიძინა და მოსვენებით ამოისუნთქა. მაგრამ ჩქარა აქა-იქ „ფაზნუმა" კვლავ ძილი დაუფრთხო. ის განახლებულის ენერგიით შეუდგა „სოციალისტების" ძებნას, მისი თვითნებობა საზღვარს გადადიოდა, მოთმინების ფიალაც ივსებოდა, ერთი წვეთი და აკლდა და ჩქარა ისიც დაერთო. ბ-ნმა პოლმარმა (დირექტორია) აქაურ მკვიდრ ბერძნებთან მოლაპარაკება გამართა ახალ ხელშეკრულობაზე და, რადგან ბ-ნ პოლმარის პირობები აქაურ მკვიდრთაგან მიღებული არ იქნა, ადმინისტრაციამ მოპირდაპირენი სოციალისტებათ მონათლა და „რასხოტებს" მისცა ხელი.

დღე დღეზე გაფიცვები მოსალოდნელი იყო, მით უმეტეს, რომ ის პირნი, რომლებიც გასულ გაფიცვებს ხელს უშლიდნენ, დღეს გაფიცულებს გვერდში ამოუდგნენ. აგრეც მოხდა; ეს ოცი დღეა, რაც აქ გაცხარებული მიტინგები იმართება, რომლებშიაც ცხარე მონაწილეობას იღებდენ აქაური ბერძნები. ივლისის უკანასკნელ რიცხვებში ხმები გავრცელდა, ჩქარა გაფიცვები დაიწყებაო. ამით შეშინებული და თავზარ დაცემული დირექტორი ივლის თერთმეტ ივლისს მოულოდნელათ ქარხანას მოშორდა სადღაც გადაიმალა. ორ აგვისტოს გაიფიცნენ, როგორც ქარხნის, აგრეთვე სახელოსნოების და მაღაროების მუშები. 3 აგვისტოს წარმოადგინეს მოთხოვნები, რომლებშიაც მრავალ ეკონომიურ მოთხოვნათა შორის ითხოვდენ უდანაშაულოთ დათხოვნილ ამხანაგების უკანვე მიღებას ⅔ დიუხანის, აბადქევის და ორი ჩაფრის, როგორც არა კეთილსაიმედო პირების, დათხოვნას.

დირექტორის დროებითი მოადგილემ, ბ-ნმა გრომ კატეგორიული უარი განაცხადა მოთხოვნების მიღებაზე და წინადადება მისცა გაფიცულ მუშებს მუშაობა დაეწყოთ და დირექტორის დაბრუნებისთვის ეცადათ. ამაზე მუშებმა უარი განაცხადეს და გადასწყვიტეს გაფიცვა განეგრძოთ.

საყურადღებოა აგრეთვე ერთი ამხანაგის სიტყვა: „ჩვენ არა ერთხელ და ორჯელ გვიგემნია ადმინისტრაციის ხრიკები, კარგათ ვიცნობთ დირექტორის მიზანსაც. ჩვენ უკანასკნელ წუთამდის განვაგრძობთ გაფიცვებს და ენერგიულათ მოვითხოვთ ჩვენ სამართლიან მოთხოვნათა დაკმაყოფილებასო". ამასთან სიტყვა დასდეს ქარხანას არაფერი დაუზიანონ და გაფიცვა მშვიდათ განაგრძონ. ადმინისტრაციამ, დარწმუნებულმა, რომ ამ ხრიკში მოსტყუვდა, უფრო საიმედო საშუალება გამოსძებნა—აქ ცხადათ მოინდომა დაერღვია მუშების შეუგნებლობას. 6 აგვისტოს მოიწვია ვილაც უცხო პირები, რომლებიც „სოციალდემოკრატიული პარტიის გამგეებათ" გამოაცხადა (ალბათ ჩვენს ადმინისტრაციის „კომიტეტი" იგივე ქარხანა გონია დირექტორების ხელმძღვანელობით).

მუშებმა საჩქაროთ მიტინგი გამართეს და სტუმრები მოიწვიეს, მაგრამ დახეთ უბედურებას, რაღაც მოსაზრებით ეს ბატონები მიტინგზე არ გამოცხადდნენ (უთუოდ ადმინისტრაციასთან ლხინი ამჯობინეს). მაშინ კი მუშები დარწმუნდნენ სტუმრების ვინაობაში. ერთმა ამხანაგმა შემდეგი სიტყვებით მიმართა კრებას: „ამხანაგებო! ჩვენს გათახსირებულ ადმინისტრაციას არ ეყო თავისი გაუდგილი სინდისი, იმათ კიდევ შეისყიდეს რამოდენიმე თავისებური „ჯალათები", რომლების საშუალებითაც კიდევ სცდიან ჩვენს დამარცხებას. იმათ აშკარათ სურთ იხელმძღვანელონ ჩვენის შეუგნებლობით. არა, ამხანაგებო, ჩვენი მოკეთენი მცარცველების ბრძანებით არ დადიან და ჩვენს მოწვევას ადმინისტრაციის სადილზე არა სცვლიან. ძირს პროვოკატორები!" ოხალხი აღფრთოვანებით მიეგება ორატორის სიტყვას და მიტინგი დაიშალა. ს დამოთი „ადმინისტრაციის სოციალდემოკრატებმა" სცადეს თითო-ოროლა მუშების მოპყრობა, მაგრამ ცდამ უნაყოფოთ ჩაუარათ.

7 აგვისტოს ხელმეორეთ გაიმართა მიტინგი, რომელზედაც საბოლოოთ გაასავეს ჩვენი გმირები და უკანვე გამოისტუმრეს.

10 აგვისტოს ადმინისტრაციამ განცხადებები გააკრა, რომლითაც მუშებს ქარხნის დახურვით ემუქრება. ჩვენ კარგათ გვესმის ადმინისტრაციის ხრიკები, ეს წარსულის განმეორებაა, მაგრამ ახსოვდეთ კი, რომ მაგითი ჩვენი მტრები ფონს ვერ გავლენ. X.

—

**ბანკის შენობათა მუშები.** ამ წინაზე თფილ. სათ.-აზნაურთ ბანკის შენობებზე მომუშავეებმა ბანკის გამგეობას განცხადება წარუდგინეს, რომლებშიაც სთხოვდნენ: გაუქმებინა „პოდრიადჩიკები" და 8 საათის დღიური სამუშაო დაეწესებია ყველა დარგის მუშებისათვის. ბანკის აგენტებმა ეს ვერ იკისრეს: შეიძლება იმიტომ, რომ ეს მათთვის არ იქნება სასარგებლო და შეიძლება იმიტომ, რომ ამით ბანკი იზარალებსო. მეორე მოსაზრება, რასაკვირველია, საეჭვოთ მიგვაჩნია. შარშანდელი (1905 წ.) წლის ანგარიშში ნათქვამია, მეწობებზე 35,000 მანეთი დაიხარჯაო. რაკი ანგარიშში სწერენ, ცხადია ფული დახარჯულა, მაგრამ ბანკის სახლებზე კი არა. ოცდა თხუთმეტი სახლიდან მხოლოდ 15 სახლი თუ შეაკეთეს, თორემ დანარჩენს არც უნახავს მუშების ხელი.

ჩვენთვის, მუშებისთვის საჭიროა ვიცოდეთ თუ სად მიდის ამდენი ფული, ხოლო ამისათვის კი პოდრიადჩიკების დათხოვნა და 8 საათის დღიური მუშაობის დაწესებაა საჭირო. რვა თვის მაგივრათ ჩვენ მხოლოდ ოთხ თვეს ვრჩებით სამუშაოზე, რაც სრულებით არ არის სასურველი მუშისათვის.

ჩვენ ვთხოვთ ბანკის შენობებზე მომუშავე ამხანაგებს, აგორდათ მუშაობა მოსპონ და დააწესონ 8 საათის სამუშაო დღე. შეიძლება ბანკის აგენტებმა ეს მოუხერხებლათ ჩასთვალონ, მაგრამ ეს მართალი არ იქნება. დღიური მუშაობით იმოვება და ფასიც ბაზრის კვალობაზე შეიძლება მისცენ.

ამხანაგების მონდობილობით ჩახუნაშვილი.

—

**თფილისის ხარაზი-მუშები.** თფილისის ხარაზების ქარგლებმა და შეგირდებმა, ჩვენი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, გაფიცვა გამოუცხადეთ ადებს, რომლებმაც დაუყონებლივ დააკმაყოფილეს ყველა მოთხოვნები. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ისევ მიყვეს ხელი თავის ძველ უფლების აღდგენას და ამნაირათ ფეხქვეშ გაიგდეს ჩვენი მოგებული შეღავათები. ჩვენ ბრძოლით მოვიპოვეთ: 1) რვა საათის სამუშაო დღე. 2) დუქანი იღებოდეს რვა საათზე და იკეტებოდეს ექვს საათზე. 3) მოისპოს დუქანში დაძინება და მიეცეს შეგირდებს ოთახის ფული. 4) ზრდილობიანი მოპყრობა ადებისაგან ქარგლებისა და შეგირდების მიმართ. ზემოთ დასახელებული მუხლები ჩვენ მოვიპოვეთ ბრძოლით და იცოდეთ თქვენ, ხაზეინებო, რომ არ დაგითმობთ უბრძოლველათ! წინადადებას გაძლევთ თქვენ ეს მუხლები სისრულეში მოიყვანოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გვიფიცებით. გაფიცვის დროს ზოგიერთ მუშას მოწონავეთ მოქონდა თავი. ახლა კი ამხანაგათ გაუხდნენ ხაზეინებს და საზიზღარ საქმეს ჩადიან. თქვენ, მუშებო, გირჩევთ, რომ ნუ აყობით ხაზეინების ტკბილ სიტყვებს და ამითი სხვა მუშების საქმეს ნუ ახდენთ, თორემ ჩვენი უფლებების დასაცავათ თქვენს წინააღმდეგაც იძულებული ვიქნებით ვიბრძოლოთ.

ქარგლების და შეგირდების მონდობილობით ე. სურგულაძე.

—

**ქუთაისის კრამიტისა და აგურის მკეთებელ მუშათა მიმართ გამოვიდა მოწოდება:** ამხანაგებო! იმ დროს, როცა მჭიდროთ შეკავშირებული მუშა ხალხი ეწევა მედგარ ბრძოლას მევლეფელ ხაზეინების წინააღმდეგ, როცა ათას წლობით დაბეჩავებულმა გლეხობამაც შეიგნო, რომ ძალა ერთობაშია და სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა მემამულეებს და მათ მოკავშირე მთავრობას, როცა წვრილ ხაზეინებმაც ისწავლეს მუშებისაგან ბრძოლა და კავშირებათ ეწყობიან, რომ რამეფრათ არ გაამარჯვებინონ მუშებს—გასტეხონ მათი ერთობა. ჩვენი ვალია, ამხანაგებო, უფრო მტკიცეთ შევუკავშირდეთ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას, მჭიდროთ შემოვკრბეთ მათი წითელ დროშის ქვეშ და მედგრათ გავსწიოთ წინ, ეკონომიურ და პოლიტიკურ თავისუფლებისაკენ. ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენი ძალა ჩვენს ერთობაშია! დავამტკიცოთ, რომ ჩვენც შეგვიძლია ჩვენი მუშების ინტერესებისათვის შეგნებული ბრძოლა! მაშ გავიფიცოთ და შევფიცოთ ერთმანეთს, რომ არც ერთი ჩვენგანი არ დაიწყებს მუშაობას, სანამ სავსებით არ დააკმაყოფილებენ შემდეგს ჩვენს სამართლიან მოთხოვნებს: მეკანდრახე მუშების მოთხოვნები: 1. მოჭრა და გამოწვა 1000 ცალი კრამიტისა 7 მანეთი; გამოუწველათ—5 მან. 2. მოჭრა და გამოწვა 1000 ცალი აგურისა 3 მან.; გამოუწველათ 2 მან. თვიურ მუშების მოთხოვნები: 1. კრამიტის და აგურის მომჭრელს თვეში მიეცეს 24 მანეთი, ტალახის მზელელს კი—20 მან. 2. ყოველ თვის ბოლოს ამ მუშებს სრულათ უნდა ეძლეოდეს ხელდრი ჯამაგირი. 3. აგური დღეში იჭრებოდეს არა უმეტეს 200 ცალისა, ხოლო კრამიტი არა უმეტეს 500 ცალისა. 4. ქურაში 1000 აგურის ჩატანა—25 კაპ.; ამოღება—20 კაპ. 5. თითოეულ ქარხანასთან უნდა გაკეთდეს კარგი სადგომი მუშებისათვის. 6. უბედურების თავიდან ასაცდენათ უნდა გაკეთდეს ქურაში ჩასავალი კარგი კიბეები. საზოგადო მოთხოვნები: 1. ყოველი საჭირო მასალა დროზე უნდა ჩაბარდეს მუშებს. 2. უნდა დაარსდეს თვით მუშებისაგან შემდგარი კომისია, რომლის მოვალეობა იქნება მეამოწმოს, როგორც დაუმუშავებელი მასალის ლაწსეა, აგრეთვე დამუშავებულისაც. 3. ყოველ შაბათს უნდა მისცეს მწარმოებელმა მეკანდრახე მუშას 5 მანეთი, როგორც მისი, აგრეთვე თვიურ მუშების ხარჯისათვის. 4. ყოველ გვარ უთანხმოების გამოსარკვევათ მექარხნესა და მუშებს შორის დაინიშნოს სამედიატორო სამართალი; მაგ. მუშის ქარხანაში დასახიჩრებისა და ავათმყოფობის ან სხვა რამე შემთხვევის დროს. 5. მუშების დათხოვნა და მიღება თვით მუშების საქმეა. 6. გაფიცვის დროს მეკანდრახე მუშას და მასთან მყოფ თვიურ მუშებს ყველას ერთათ ეძლეოდეს დღეში 2 მანეთი ხარჯის ფული. 7. გაფიცვის გამო არც ერთი მუშა არ უნდა იქნეს დათხოვნილი. 8. მექარხნეს არა აქვს უფლება ყიდოს საქონელი, სანამ მუშები გაფიცული არიან. 9. დღიურ მუშებს ეძლეოდეს დღეში: მომჭრელებს 1 მან. 50 კაპ.; მომზელე-

გლოთ მტარვალი, ჩვენს ზურგზე გასუქებულიო", იძახოდენ ყმაწვილები. ვინ გასუქდება თქვენს ზურგზე, თქვე ქირიანებო?!

**გლეხი.** ნუ გვიგდებთ, გაბრიელ, საცინლათ, ქვეყანაზე ყველაფერი იცვლება; ნუ იქნებით მედროვენი, ძალის მორჩილნი. ერთ დღეს თქვენც ჩვენი იყავით. დღეს ავდარია, ხვალ გამოიდარებს, ალმართს დაღმართი მოყობა... ერთხელაც არის, კიდევ ის დრო დაგვიდგა, მაშინ რავა უნდა იქნეს ჩვენი განწყობილება, რა გული უნდა გვქონდეს თქვენზე! ყველას ვერ გაგვწყვეტს ალიხანოვი, რამოდენიმე მაინც დავრჩებით...

**მამას.** (სიტყვას აწყვეტინებს) უყურე კიდო რას ამბობს, რას? მაგრე იყოს მახარობელი, მაგრე! ჩავაჩიჩალებ თუ კაცი ვარ პრისტავთან!.. წამოდი მალე (დასაჭირავათ მიიწევს. ატყდება ჩოჩქოლი. იძახიან: „წეიყვანე", „პატიე", „პატიე").

**გლეხი.** რაცხას მიზამი გევიგე, აა, წამიყვანე (მამასახლისი შერცხვენილი გაჩერდება).

### მოქმედება მეორე.

გამოსვლა პირველი

**(ლევანი, გაბრიელი და ზოსიმე)**

**ლევ.** ქათამმა ჩხრიკა ჩხრიკა და თავის დასაკლავი დანა გამოჩხრიკა. ისე დაემართა ჩვენს მთავრობას. კაცო, კაცს მეერიე, და მერე გამოდიხარ და ეუბნები: მოდი და მომელაპარაკე რა გინდა, რა ნაირი მართვა-გამგეობა გინდაო... მიკვირს ღმერთმანი! ქვეყანას თავზარი დასცა, ყველას ენა ჩაუდო და მერმე რაღაც ეს დუმაა თუ სათათბირო მეგონა... მიკვირს ღმერთმანი...

**ზოს.** კაცო, ისინიც ღმობენ, შეფიქრიანდენ. მთელი ქვეყანა ფეხზეა ამდგარი, და ალბათ რაცხა პირდებათ იფიქრეს და იმისთვის ქნეს.

**გაბრ.** არა ძმაო, გატყდა მთავრობა, მეიკუნტა წელში, შეშინდა. ქვეყანა გადემტერა და ცოტა თუ არ დაუთმე არ ივარგებსო, იფიქრა. ამდენი კაცის შეძახილი ხეს გაახმობს, ერთ კაცს კი არა...

**ზოს.** მართალია შენ რო თქვი. ხალხი თუ გაწყვეტა, მერე ვისი ხემწიფე იქნება, ვის უუფროსებს?

**ლევ.** თურმე ხემწიფეს სასახლეში ერთი ვილაც დიდი კაცი ტრეპოი ყოლია, ტრეპოი გვარათ. ალიხანოვი ხო სახელ გაქმული კაცია და მასთან თურმე მონაგონი არაა. მაგისთანა ნიჭიერი და გამბედავი კაცი, თურმე მთელ ქვეყანაზე არააო. ხო და იმას უთქვამს თურმე შენ თუ ნებას მომცემ ისე მოვაწყობ საქმეს, რომ ყველა სოციალისტებს დევიჭირავ და დავხვრეტაო. თურმე დუმამ თუ ახლა ფეხი გეიდგა, ენას არ მოუკლო და რო ადგია იმ გზას დაადგა, ის ტრეპოი თურმე გამომზადებული ყავენ. დუმას თურმე მაშინვე დეიჭერენ და ქვეყნის დასაწყნარებლათ ტრეპოს დანიშნავენ.

**გაბრ.** არა, ძმაო, მე აწი არც ალიხანოვის მწამს რამე და არც ვილაც ტრეპოიაო! დიდი შესძლებია თურმე ხალხს, დიდი, ვისეგონა თუ ამხელა რუსეთს ასე შეანძრევდა რამე.

**ზოს.** რუსეთს მაშინ გოუწყრა ღმერთი, როცა მას ერცახე იაპონიამ აჯობა.

**ლევ.** დუმას უთქვამს, რაც თავად-აზნაურობას მიწები აქვს, ყველა უნდა ჩამოერთვას და გლეხებს მიეცესო.

**გაბრ.** ჰე, გლახათ მეეწყო საქმე, გლახათ, იცოდეთ კაი ამბავი არ იქნება. ვითომ ძან ოვუბზუეთ ცხვირი ამ მოქადაგეებს, მარა გონია ისე მივა მართლა საქმე, რავაც ისენი ამბობდენ.

გამოსვლა მეორე

**(იგინივე და დიაკონი)**

**ლევ.** ძუქორე (მეგრული—როგორაა) საქმე, დიაკონო?

**დიაკ.** ეჰ, ვარდა ვარ მივა, კულაშელო ხუცესო, საქმე (იცინიან). ყველაფერს მოველოდი და თუ ალიხანოვის რისხვა ჩვენს ხალხს არ შეაშინებდა არ მეგონა. კაცო, რო ვერაფერმა გატეხა ეს ხალხი. ამ დუმაში ჩვენი საქართველოდან სოციალდემოკრატები რო გაგზანეს გასაკვირალი არაა, რაფერ მოახერხეს, ან რაფერ გაბედეს? ისეთი კი შემეშინა რო გავიგე დემოკრატები ეირჩიესო, რო მეტი არ შეიძლება. მე ვთქვი, ესაა, მოგვიბრუნდა კიდო ალიხანოვი და შეგვისრულა რაც დაგვპირდა თქვა.

**ზოს.** აბა, რა ქნეს ამ კაცებმა! სოციალდემოკრატები გაგზავნეს დუმაში, ეს სათოკე ხალხი, ესა?...

**გაბრ.** სულ იმ დემოკრატების ბრალია, რომ ასე ეირია თურმე ქვეყანა, იგენის მოგონილი და დაწყებულია თურმე ეს საქმე.

**ლევ.** მერე იცი, გაბრიელ ვინ არიან ეს დემოკრატები? თუ გახსოვს ერთ დროში ქუთაისში რომ ჩავდიოდით დავითთან საქეიფოთ, მაშინ რო იძახდნენ დასელებიო, დასელებიო... რავა არ გეხსომებ.?

**გაბრ.** რავა არ მახსოვს დასელები, შე კაცო. ყველა სამასხროთ იგდებდა. ჩვენ რო ვიძახოდით კიდო, ზუთხი დასელებოო (იცინის).

**ლევ.** აი თურმე ის დასელებია ეს დემოკრატები, იცი?

**გაბრ.** რას ამბობ?

**ლევ.** შენ ნუ მომიკვდები! თურმე იგენის სტაველითაა, რომ ასე ეირია ქვეყანა, პირველათ იგენს დაუწყიათ.

**დიაკ.** რავაც ვატყობ მე, ხალხი გეიმარჯვებს. თუ ასე მალე გატყდებოდა მთავრობა არ მეგონა. კი ქონია ხალხს ძალა.

**გაბრ.** ამ დუმამ დაღუპა, თვარა იმდენი კი არ უშა და.

**ზოს.** რუსი მეშიშარაა, კაცო. ვითამ ერთს ქე შემოგიბღვირავს, მარა თუ ღონე დაგინახა, მაშინვე გაჩუმდება.

**ლევ.** რავაც გინდა ისე თქვი და გლახათ კი შებრუნდა საქმე, გლახათ (საერთო პაუზა).

გამოსვლა მესამე.

**(იგინივე, მამასახლისი და სტრაჟნიკი კოწია)**

**მამას.** რა გახაროთ, რა გახაროთ!.. (ყველა ერთათ: „რა ამბავია, რა იყო?").

**მამას.** დუმა გარეკეს, დუმა...

**გაბრ.** მართლა???

**ლევ.** თუ ღმერთი გწამს? არ გვატყუებ?

**კოწია.** რავა გატყუებთ, ახლა მოუვიდა პრისთავს ტელეგრამა დუმა გარეკესო...

**მამას.** გოურეკავენ, სულ დაუმათრახებიათ, რავა გაბედეთ ამისთანების ლაპარაკიო და... ჩვენ პრისთავმა დარიგება მოგვცა, ხალხს თვალყური ადევნეთო.აი ეს წითელი რაზმელი სტრაჟნიკაც მე გამომატანა.

**დიაკ.** ალბათ მთავრობას იმედი აქვს, ძალა აქ, კიდო არ ეშინია...

**ლევ.** ტრეპოი რას შვებაო, ტრეპოი?

**მამას.** ამ ორ დღეში იგიც დეინიშნებაო (საერთო სიხარულია, ღმერთს მადლობას უთვლიან).

**გაბრ.** ვინც ყოფილა, კიდო ის იქნება. (ხტიან, იცინიან და სხვ.).

(ფარდ)

ვ. მალაქიაშვილი.

დებს 1 მან. 20 კაპ. 10. თუ ხაზეინმა მუშა დაითხოვა, მისცეს 2 თვის ჯამაგირი.

—

**ქუთაისის სტოლიარებში.** ქუთაისის სტოლიარების ქარგალთა და შეგირდთა მიმართ გამოვიდა მოწოდება: ამხანაგებო! შავბნელმა რეაქციამ მთელი რუსეთი მოიცო; ყველგან ცეცხლით და მახვილით შეიჭრა და მოინდომა ყოველივე ახალის მოსპობა-განადგურება... ხალხის ქონება ცეცხლს მისცა და ხალხის საუკეთესო შვილებზე ნადირობა გამართა. ამით მას სურდა ხალხის გულში საბოლოოთ ჩაეკლა თავისუფლების წყურვილი და ძველი, დახავსებული წესწყობილება აღედგინა და განემტკიცებია. მაგრამ მწარეთ მოსტყუვდა. მშრომელ ხალხს, ქალაქის პროლეტარიატს და სოფლის გაღატაკებულ გლეხობას ბრძოლაზე ხელი ვერ აალებინა... ის თუმცა დროებით შეჩერდა, მარა გაძლიერებული ენერგიით შეუდგა მზადებას მომავალ მედგარი ბრძოლისათვის. ხომ გახსოვთ, ამხანაგებო, ალიხანოვისა და მისი დამსჯელი რაზმის შემოსვლა ქუთაისში. გახსოვთ ისიც, თუ როგორ გათამამდენ მაშინ ჩვენი წურბელა ხაზეინები? ახლა კი გვეშველა, ძველი დრო დაბრუნდა და ახალი სამუდამოთ გაქრა, მუშებს რათ უნდათ სამუშაო პირობების განსაზღვრა—უნდა იმუშაონ, სანამ დაზგაზე არ ჩამოეძინებათ, ან და ვის მოსწრია შეგირდებისთვის გაუმჯობესებული საჭმელი და ბინა—განა ცივი წყალი და ლობიო თუ უშოვე მადლიერი არ გამიხდებათ?... დიახ! როცა ჩვენმა ხაზეინებმა რეაქციით ზურგი გაიმაგრეს და თან ჩვენი სისუსტე დაინახეს, სულ მთლად ზურგზე შეგვაჯდენ და დაუზოგველათ დაეწაფენ ჩვენ სისხლს... უოფილიყო ჩვენში ჩვენი კლასიური ინტერესების შეგნება, გვქონოდა მტკიცე კავშირები, ვნახავდით თუ შესძლებდენ ისინი ჩვენ ასე უმოწყალოთ ჩაგვრას! ახლა მაინც დავინახოთ, ამხანაგებო, რომ პაერზე უსაჭიროესია ჩვენთვის შეგნება-შეკავშირება. მუშების მტკიცე პროფესიონალური კავშირი ეს ლაგამია აღვირ წახსნილი ხაზეინებისათვის! მაშ მტკიცეთ შევკავშირდეთ, გავიფიცოთ და მედგრათ მოვითხოვოთ: 1) რვა საათის სამუშაო დღე (მუშაობა იწყებოდეს დილის 7 საათზე საღამოს 5 ხუთ საათამდის, 2 საათის დასვენებით სადილისთვის და საუზმისთვის); 2) მუშების მიღება და დათხოვა თვით მუშების საქმეა; 3) ჯამაგირი ყოველ შაბათს რიგდებოდეს; 4) გაფიცვისთვის არავინ დაისაჯოს და არც ჯამაგირი გამოერიცხოს; 5) შეგირდებს მიეცეს დღეში ხარჯის ფულათ 25კაპ: 6) ტანსაცმლისათვის, აბანოსთვის, გასკრეჭი და საპონისათვის თვეში 2 მ. 50კაპ. ოთახისათვის-კი 1 მან; 7) ძველი შეგირდების ვადა შემცირდეს 3 წლამდის, ახალის აყვანა განისაზღვროს ორ წელ ნახევრით; 8) ხუთმეტ წლამდის შეგირდათ არავინ აიყვანონ; 8) შეგირდები არ ამუშაონ სახელოსნოს გარეშე საქმეებზე; 10) ავათმყოფობის დროს 1 თვეს ექიმობა ხაზეინის ხარჯზე. ადგილი შეუნახოს 3 თვეს; 11) ზრდილობიანი მოპყრობა ყველასათვის.

ამხანაგებო! სანამ ამ მოთხოვნილებებს არ დაგვიკმაყოფილებენ, არც ერთმა ჩვენგანმა ფეხი არ შევდგათ სახელოსნოებში.

---

**ბ-ნ თ. კიკვაძეს.**

—

ბ-ნ კიკვაძეს პოლემიკის სალეროლელი აშლია. გაზ. „შრომა"-ში (№ 101) უშველებელი წერილი დაუსტამბავს „ლამპრის" რედაქციის წევრების საწინააღმდეგოთ. როგორც ჩანს ბ. თედორე ყველაზე უფრო ჩემზე, როგორც „ლამპრის" რედაქციის მდივანზე, ყოფილა, გაჯავრებული, ვინაიდან, მისი აზრით, მისთვის მე ვითომ „ცილი" დამიწამებია. ბ. კიკვაძესთან პოლემიკა ზედმეტათ მიმაჩნდა და დღესაც მიმაჩნია. მისი წერილის უყურადღებოთ დატოვება, ჩემის აზრით, საჭირო იყო, მაგრამ საზოგადოებაში ბევრგვარი მითქმა-მოთქმა გავრცელდა. აი სწორეთ ამ გარემოებამ მაიძულა ბ. თედორე გამოვიწვიო სამედიატორო სამართალში. მე ჩემის მხრით ვნიშნავ მედიატორებათ ბრადისგას და მიშას. მედიატორების დადგენილება გამოქვეყნებული უნდა იქნას.

„ლამპრის" რედაქციის მდივანი ზაქარია.

P. S. ბ თედორეს ვსთხოვთ ორი დღის განმავლობაში პასუხი გაგვაგებინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში დარწმუნებული ვიქნებით, რომ ის მედიატორულ სამართალს გაურბის.

ზაქარია.

---

# დეპეშები

(პეტერბურ. დეპეშათა სააგენტო).

13 აგვისტო

**მოგილევი.** 12 აგვისტოს გომელში ქრისტიანებს და ებრაელებს შეტაკება მოუვიდათ. რამდენჯერმე რევოლვერები გაისროლეს. დაშავებული არავინაა. პოლიციამ და დარაჯებმა არეულობას ბოლო მოუღეს. დაიჭირეს ექვსი ებრაელი. გამოძიება სწარმოებს.

**სამარა.** ნიკოლაევსკის მაზრის სოფ. ბრიკოვკის მცხოვრებლებმა მისცეს მთავრობას ის აგიტატორები, რომლებიც არიგებდენ მათ მიესაკუთრებიათ მიწები. გლეხებმა დაადგინეს სინანული განაცხადონ კაზლოვის მამულის გაყოფის განზრახვისათვის და ხელი აიღონ ამ საქმეზე. ამასთანავე შეიმუშავეს წეს-რიგი, როგორ აღევნონ თვალყური აგიტატორებს.

**მოგილევი.** თოფის წამლის საწყობის დარაჯთან 11 აგვისტოს, ღამით მივიდენ ექვსი ვინტოვკებით და რევოლვერებით შეიარაღებული უცნობნი, დაიჭირეს დარაჯი, გაჩხრიკეს, უბრძანეს გარეთ არ გამოსულიყო და სტვენით ვილაცას ნიშანი მისცეს, რის შემდეგაც ცეცხლი გაჩნდა. უცბათ საშინელი აფეთქება მოხდა. როგორც საწყობის პატრონი ამბობს, თოფის წამალი 100 ფუთამდე იყო. გამოძიება სწარმოებს. გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა დანარჩენი ორი საწყობი დახურონ.

**რიგა.** ქალაქის განაპირა კერძო ბინაზე 24 ყუმბარა, რვა პიროქსილინის ხმლები და მრავალი ასაფეთქებელი ნივთიერება აღმოაჩინეს.

**ნიჟნი ნოვგოროდი.** გუბერნატორის სახლის ახლო თოფის ხმა მოისმა. მოსეირნე ხალხი დაფთხა და გაიქცა. როგორც შემდეგ გამოირკვა, თურმე სტოროჟს უცბათ გაუვარდა თოფი და „ვესტავოი" დასჭრა ხელში.

**რიგა.** პეიბადში, რიგის მაზრაში, დარაჯები თავს წააწყდენ მძარცველებს, როცა ისინი არყის დუქანს თავს დაესხენ. ბოროტგამზრახველები გაიქცენ. დარაჯები, კაზაკებით უკან დაედევნენ და ხუთივე მოკლეს.

**ტამბოვი.** ღამით ინჟავინსკის რკინის გზაზე, კირსანოვის მაზრაში უცნობებმა რევოლვერით მოკლეს პოქაული ლებედევი, დარაჯი და ჟანდარმი. ერთი კონდუქტორი სასიკვდილოთ დასჭრეს.

**პეტერბურგი.** სტოლიპინის სახლში აფეთქების დროს დაღუპა „ბლინდ-როვანი" ავტომობილის გამ-მგონი თავ. ნაკაშიძე.

**პეტერბურგი.** ბოროტ-გამზრახველნი, რომლებმაც მინისტრ სტოლიპინის მოკვლა განიზრახეს, ერთი „სტატსკურ." ტანისამოსში იყო და ორი ჟანდარმის აფიცერის, ერთ მათგანს ხელში ვეებერთელა პორტფელი ეჭირა. ისინი გადმოვიდენ ეტლიდან და პირდაპირ მისაღებ ოთახისკენ გაემართენ. აქ ისინი შეაჩერა „კურიერმა" და განუცხადა, რომ ჩაწერა გათავდა და აწი ადარავის მიიღებთო. როცა მათ ძალათ ველარ მოახერხეს შესვლა, ერთმა მათგანმა აიღო პორტფელი და რაც ძალი და ღონე ქონდა ისე დაახეთქა იატაკზე. მოხდა საშინელი აფეთქება. ოთახი სულ დაიმსხვრა და ნამტვრევები შორს ქუჩაში გაიფანტა. ზევით სართულში სასტუმრო ოთახი სულ ჩამოინგრა. ეზოში ხეებზე აქა იქ ხორცის და ტანისამოსის ნაფლეთები იპოვნეს. გამოძიებიდან სჩანს, რომ სტოლიპინის მოკვლა დიდი სიფრთხილით იყო შემუშავებული. ბოროტგამზრახველნი რკინის გზით მოვიდენ პეტერბურგში, ზოგი მათგანი აფეთქების დროს მოკვდა და ზოგიც გამოიცნეს და დაიჭირეს.

**რიგა.** ვენდენსკის მაზრის დროსტენგოფის ვოლოსტში დამსჯელი რაზმი მივიდა, რადგან იქ ამას წინათ ურიადნიკი მოკლეს. რაზმმა სამი კაცი დახვრიტა და ბევრს როზგი დაჰკრეს. დროსტენგოფის და გოხტბარტსბერგის ვოლოსტები 3000 მ. დააჯარიმეს.

**განჯა.** რევოლვერით მოკლეს ჯევანშირის მაზრის უფროსი ფლეყინსკი. მკვლელები მიიმალენ.

**პეტერბურგი.** გენერალ მინს ტყვია ზურგის მარცხენა ნაწილში მოხვდა და გულში გაუარა. ბრბოს უნდოდა თვითონ გაესამართლებია მკვლელი, მაგრამ მან დაემუქრა ყუმბარას გესვრიო და შეჩერდენ. მკვლელს პასპორტი აღმოაჩნდა პენზის გლეხის ქალის სოფიო ლარიონოვას სახელზე. ის სცხოვრობდა სოფელ ლიუზინოში, პეტერბურგის ახლო. შეხედულობით ის 30 წლის იქნება. ეჭვი აქვთ, რომ ლარიონოვას მონაწილე ყავდა, რომელიც მკვლელობის შემდეგ ხელათ მიიმალა. გამოძიება განსაკუთრებულ საქმეთა, გამომძიებელმა ზაიცევმა დაიწყო.

**ვარშავა.** ნაშუადღევის ორ საათზე ვეისკის ქუჩაზე რევოლვერით მოკლეს ვარშავის დროებით გენერალ-გუბერნატორი გენერალი ვონლიალიარსკი. მკვლელები მიიმალენ. უკანასკნელ დღეებში ქალაქის სხვა და სხვა ნაწილში თორმეტი თავდასხმა მოხდა. გაიტაცეს რამდენიმე ათასი მანეთი. დაჭრეს ორი კაცი და ერთიც დაიჭირეს.

**თელავი.** ღამით ქუჩაზე დასჭრეს ბაშკიდიკლიარის აფიცერი მააზე. სროლის დროს მოკლეს მასწავლებლის ცოლი და დასჭრეს მისი და. ბოროტ-გამზრახველნი მიიმალენ.

**პეტერბურგი.** დღეს, პეტერგოფში პანაშვიდი გადაიხადეს გენერალ მინის სულის მოსახსენებლათ.

**სიმბირსკი.** ფოსტის პარკების გახსნის დროს, რომლებიც სიმბირსკიდან ბუინსკში მიიტანეს, დაკარგული აღმოჩნდა 277000 მანეთი.

**ვარშავა.** გენერალ-გუბერნატორი ვონლიარლიარსკი საკომენდანტო სამმართველოდან ეტლით სახლში მიდიოდა. ვეისკის ქუჩაზე უკნიდამ ახალგაზრდა კაცმა ოთხჯერ ესროლა. მეეტლემ ეტლი საავათმყოფოსკენ გააქანა. გენერალი გადაიყვანეს საავათმყოფოში, სადაც ის მაშინვე გარდაიცვალა. ტყვიები ზურგში და გულში მოხვდა.

**მოსკოვი.** მოსკოვის „ოხრანნი" აგენტებს პეტერბურგიდან მიაშველეს აგენტები მთელი პოლიცია ფეხზე დგას. ეძებენ იარაღის და ყუმბარების საწყობებს, სადგურზე ნივთებს ჩხრეკენ.—გრადონაჩალნიკს აცნობეს, რომ პალმისა და გრაჩევის ქარხნებში გაფიცვის მოწინააღმდეგე მუშებს ითხოვენ, გრადონაჩალნიკმა აცნობა ქარხნის პატრონთ, რომ უკეთუ მართლა დაითხოვენ ის მუშები ქარხნებს დაგიხურავთ.

**ეკატერინოსლავი.** გუშინ, ხერსონის ქუჩაზე 500 კაცისაგან შემდგარი ბრბო თავს დაესხა ლუდხანას, სადაც ერთი მუშა მძრმეთ დასჭრეს ლუდხანაში მყოფმა უცნობებმა და იქაურობა სულ მიანგრ-მოანგრიეს. შემდეგ გაანადგურეს მეზობელი სახლი. უწესოება ჩქარა ჩააქრეს. დაიჭირეს 27 კაცი.

**პეტერბურგი.** (ოფიციალური). 3 აგვისტოს პეტერბურგ-ვარშავის რკინის გზით ჟანდარმის როტმისტრ მაკაროვს, ჟანდარმის ოთხ უნტერ-აფიცერს და ოთხ სალდათს მიყავდათ ტუსაღი ალექსანდრე ბელენცოვი, რომელიც სადგურ პოროშინისა და ნიკოსელიეს შუა გადახტა მატარებლიდან და გაიქცა. როგორც გამოძიებით გამოირკვა, ბელენცოვი მეორე კლასის ვაგონით მიყავდათ და არა ტუსაღების. ტუსაღის მხლებელი სალდათები შემდეგ ადგილებზე იდგენ: ვაგონის ორივე კარებთან გარედან თითო სალდათი იდგა თოფით. ვაგონის კარები დაკეტილი იყო და გასაღები უნტერ-აფიცერს ქონდა. გაქცევის დროს ბელენცოვთან ოთხი ჟანდარმი იყო, ერთი მის პირდაპირ იჯდა, ორი მეორე მხარეს სავარძელზე და ერთიც შუა განყოფილებაში. უკანასკნელ განყოფილებაში იჯდა აფიცერი მაკაროვი. 3 აგვისტოს, როცა მატარებელი სადგურ ნოვოსელიეს მოახლოვდა, იმ ადგილს, სადაც მატარებელი ნელა მიდის, ჟანდარმების სიტყვით, ბელენცოვი უცბათ წამოდგა, შედგა ფეხი თუჯის მილზე და შურდულივით დაეშვა ყირამალა ფანჯრიდან. ერთი ახლო მჯდომი ჟანდარმი ხელათ გადახტა გამტვრეულ ფანჯარაში. მეორე ჟანდარმმაც მოინდომა გადახტომა, მაგრამ ხმლით მოედვა ფანჯარას და სანამ გადახტებოდა, ბელენცოვი და პირველი ჟანდარმი უკვე ბუჩქებში მიიმალენ. მატარებელი მაშინვე გააჩერეს. საუბედუროთ ვაგონის გასაღები იმ ჟანდარმს ჩარჩა ჯიბეში, რომელიც ბელენცოვს დაედევნა, ამიტომ მაკაროვი და სალდათები უცბათ ვერ გამოვიდენ ვაგონიდან. შემდეგ მაკაროვმა ბევრი ეძება ტუსაღი, მაგრამ ამაოთ. მაკაროვი და 4 ჟანდარმის უნტერ-აფიცერი ამ საქმეზე პეტერბურგ-ს საოლქო სამხედრო სამართალში მისცეს.

ტომსკის გუბერნატორის დეპეშის პირი პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის სახელობაზე: „დღეს იპპოდრომზე, დოღის დროს ებრაელმა ბენიამენ დისტლერმა სხვებთან ერთათ სცემა სხვადასხვა პირებს და რევოლვერით ხელში დასჭრა ბოქაული. დისტლერი დაიჭირეს.

**პეტერბურგი.** ფოსტის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის 1886 წლის 15 ივნისის დადგენილება (პრავიტ. ვესტ". 1986 წლ. № 129) პირველ ივლისიდან შევსებულ იქნა შემდეგი დამატებით: „იმ შემთხვევაში, უკეთუ მთავრობის მიერ შეჩერებულ ან სამუდამოთ დახურულ იქნება რომელიმე პერიოდული გამოცემა, კანტორა ვალდებულია უკან დაუბრუნოს ფულები იმ ფულების გამოკლებით, რაც დახურვის დღემდე ერგებოდა ფოსტას გაზეთების გაგზავნისთვის.

**პეტერბურგი.** სტოლიპინის სახლში მომხდარ აფეთქების დროს; როგორც გამოირკვა, დაჭრილია შემდეგი პირები: პეტერბურგის ყოფილი ბოქაული ვერბიცკი, რომელიც ჩქარა გარდაიცვალა, გროდნის სამაზრო „პრისუტსტვიის" წევრი სტანკევიჩი, შოველსკი, მაზრის თავათ-აზნაურთა წინამძღოლი იანოვსკი და შინაგან საქმეთა სამინისტროზე მიწერილი ელენოვი.

სემიონოვის პოლკმა რამდენიმე უსახელო წერილი მიიღო მინის დამარხვის დღეს სულ დაგწყვეტთო.

გამომძიებელმა ზაიცევმა გამოიკვლია, რომ მკვლელი 3 აგვისტოს სოფელ ლიუზაში სცხოვრობდა, მან ხუთჯერ დაახალა რევოლვერი გენერალ მინს, სამი ტყვია გულში მოხვდა და ორი წელში გენერალი საავათმყოფოში ჩქარა გარდაიცვალა. მკვლელმა სთხოვა ჟანდარმებს და კერძო პირებს სიფრთხილით მოქცეოდენ მას, რადგან ჯიბეში ყუმბარა ქონდა. ერთმა აფიცერმა მართლა ამოაცალა ჯიბიდან გატენილი ყუმბარა. გაჩხრეკის დროს მის ბინაზე ვერაფერი ვერ აღმოაჩინეს მკვლელმა განუცხადა გამომძიებელს, რომ მისი პასპორტი ყალბია და სთხოვა ჩვენება არ ჩამოერთვათ, რამდენიმე დღის შემდეგ ყველაფერ სიმართლეს გეტყვითო. ხელზე ბორკილები დაადვეს და პეტერბურგში წაიყვანეს.

**სამარა.** 400 კაცისგან შემდგარი ბრბო წითელი დროშებით და რევოლიუციონურ სიმღერებით გადმოვიდა მდინარის მეორე პირიდან, გაიარეს დვორიანსკი ქუჩა, გზადაგზა 2000 კაცამდე შეგროვდენ. მოხდა პოლიციასთან შეტაკება. ხანჯლით მსუბუქათ დასჭრეს ბოქაული ალექსეევი, ქვით დასჭრეს პოლიცმეისტერის თანაშემწე, უბნის ზედამხედველი და ორი გოროდოვოი.

**იუზოვკა.** ნოვოროსიისკის საზოგადოების უმთავრეს კანტორასთან სასიკვდილოთ დასჭრეს გოროდოვოი ტრუპნიკოვი. სროლის ხმაზე ორმა გოროდოვოიმ მოირბინა. ერთმა მათგანმა, ხმალი იშიშვლა და მკვლელს გამოუდგა. ორი მათგანი გაიქცა, ერთი მოეფარა დანგრეულ სახლს, იქვე მოკლა გოროდოვოი, ექვსჯერ ზედი-ზედ დაახალა რევოლვერი ურიადნიკს და ტყეში მიიმალა.

15 აგვისტო

**ადესა.** ღამით, ტირასპოლის ქუჩაზე ამოხოცეს ვაჭარ სტამოგალოს ოჯახობა, რომელიც ხუთი სულისაგან შესდგებოდა. წაიღეს 10000 მანათი და ძვირფასი ნივთები. ერთი მკვლელთაგანი დაიჭირეს. ის კატორგიდან გაპოქცეული აღმოჩნდა.

**პეტერბურგი.** გაზეთების ცნობით, პოლიციამ აღმოაჩინა ტერორისტების მესამე ბინა. 14 აგვისტოს, ღამით ერთი ბინის გაჩხრეკის დროს საყურადღებო საბუთები აღმოაჩინეს, რომლებსაც პეტერბურგის უკანასკნელ ამბებთან დამოკიდებულება აქვს, დაიჭირეს ებრაელი კბილის ექიმი. იმავ ღამეს ბევრი გაჩხრიკეს და დაიჭირეს.

სტოლიპინის სახლში დახოცილების დამარხვა სამინისტრომ მიიღო თავის თავზე, გენერალ მინის მკვლელი სოფელ ლიუზინს დამდგარა გენერალის ახლო 30 ივლისს. ერთი თვის წინათ იქვე დამდგარა 55 წლის მოხუცი კაცი ვასილ ივანეს ძე ივანოვი სტრახოვთან ერთათ. ლარიონოვა და ივანოვი ნაცნობები გამოდგენ და ორივენი ერთათ უთვალთვალებდენ გენერალს. მკვლელობის დღე ორივემ ერთათ გაატარეს. საღამოს ხანს ივანოვი გავიდა სახლიდან და შემდეგ აღარ დაბრუნებულა, მიიმალა აგრეთვე მეორე მონაწილე. მიცვალებულს 16 აგვისტოს დაასაფლავებენ. ქვრივმა ინგლისის მეფიდან მიიღო დეპეშა.

**რიგა.** ტამოჟნის მიერ საჯარო ვაჭრობით გაყიდულ 17 ბოჩკა კოკოსის ზეთში ბოჩკის ორკეცა ძირში 500000 ცალი სხვადასხვა ენაზე დაწერილი პროკლამაციები აღმოჩნდა.

**პეტერბურგი.** გაზეთი „როსია" მოწინავე წერილში ამბობს, რომ ტერორისტული მოქმედება ძლიერ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს საზოგადოებაზე. დიდი შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ ანარქისტების ტერორმა მთავრობის ტერორი გამოიწვიოს. მთავრობა, რათაც უნდა დაუჯდეს, იარაღს არ დაყრის რევოლიუციონერების წინააღმდეგ და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს, მხოლოდ ისეთ საშუალებით კი არა, როგორც რევოლიუციონერები, არამედ კანონიერი გზით, ბეჭდვითი სიტყვით და კრებების გამართვით. მართალია მთავრობას ძალა შესწევს ჩააქროს უწესოება, მაგრამ ეს მის უმთავრეს მიზანს არ შეადგენს. მთავრობა ადგენს კანონპროექტებს ახალი დუმისთვის. საჩქარო კითხვები კი დუმის მოწვევამდე გადაწყდება.

**ჰელსინგფორსი.** ფინსკის ს.-დემოკრატების სიეზდმა ულეაბორგში დაადგინა საყვედური გამოუცხადოს წითელ გვარდიას, რომელიც გამგეობის ნებადაურთველათ გამოვიდა საბრძოლველათ. ერთხმათ გადაწყვიტეს გვარდია დათხოვნილ იქნეს.

**კამიშინსკი.** პოლიციას უნდოდა დაეჭირა ყოფილი წევრის დიტცის დაჭერა, მაგრამ ერთ დაძახილზე ათასი კაცი შეგროვდა, ხელიდან გამოგლიჯეს დიტცი. სტუდენტი დიტცს თავის ბინაზე დატუსაღებით ცვალეს.

რედ.-გამომცემელი ი. კარგარეთელი


# განცხადებანი

## გაზეთის გამყიდველებ-ბის საყურადღებოთ

ვაცხადებთ, რომ პროვინციის აგენტებს თითო ეგზემპლიარი გაზეთისა ეთმობა 3 კაპეიკათ. აგენტმა გაზეთის გამყიდველებს უნდა დაუთმოს 4 კაპეიკათ. დარჩენილ გაზეთებს უკან აღარ ვღებულობთ. თფილისშიაც გამყიდველებს 4 კაპეიკათ ეთმობათ ეგზემპლიარი.

---

დაბა **ჭიათურაში**

ამ წლის პირველი ენკენისთვიდან იხსნება ოთხკლასიანი საქალებო

**პროგიმნაზია,**

რომელიც იქნება მოთავსებული მღვ. შაძის სახლში. თხოვნები მიიღება ყოველ დღე. მისაღები ეგზამენები დაიწყება აგვისტოს.

---

**მიიღება ხელის მოწერა**

სომხურ ყოველდღიურ გაზეთ

**„ნორ-ხოსკ"-ზე**

(ახალი სიტყვა).

გაზეთი ღირს წლიურათ 6 მ., თვიურათ 50 კ.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Солакская, № 3.

---

დაიბეჭდა და მალე გამოვა **ივ. გომელაური**-ს მიერ შედგენილი ახალი წიგნი:

„სკოლებში შესასწავლი

**ქართველი მწერლები"**

---

კბილის ექიმი ქ-ნ ე.

**ლორის-მელიქოვი**

იღებს ავათმყოფებს. რკინის გზის მუშებს მოსამსახურეებს და მათ ოჯახის წევრებს, დაკლებულ ფასებში, რაც დამტკიცებულია რკინის გზათა უფროსის მიერ.

ავათმყოფნი მიიღებიან: დილის 8—10 რკინის გზის საავათმყოფოს ძველ შენობაში.

---

**იყიდება** ერთი დივანი, კრესლო 6 პოლუკრესლო ბურდოს ფერი უხმარი.

ადრესი: ალექსეევსკი ქუჩა, № 2.

ნახვა შეიძლება 12—6 საათამდის. 2—

---

იყიდება

**სასადილო**

თავისი სამზარეულოთი და მოწყობილობით. ავჭალის ქ., № 43. ვანო ქელი

(2—1)

---

Открыта подписка на еженедѣльную газету

**„КАВКАЗСКАЯ НЕДѢЛЯ"**

Газета выходитъ въ г. Тифлисѣ разъ въ недѣлю по понедѣльникамъ.

Подписная плата съ 1 августа до конца года съ пересылкой и доставкой — одинъ рубль. —

Пріемъ подписки и объявленій открытъ при тип. Т-ва „Трудъ", Михайловская, 65.

Плата за объявленія: передъ текстомъ—20 копеекъ, послѣ текста—10 копеекъ. Многократныя по соглашенію.

Контора открыта ежедневно, за исключеніемъ праздниковъ, отъ 9—12 ч. дня и отъ 3—5 ч. веч.

Личныя объясненія съ редакторомъ по понедѣльникамъ, четвергамъ и субботамъ отъ 1 ч. до 3 ч. вечера, Елизаветинская, 74.

Ред.-изд. С. Б. Франчески.


ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა" ტფილისი,. მახვილის ქუჩ,